პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

საკონსულტაციო დოკუმენტი

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით

1.. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1.1. პროექტის ნომერი: GE/15/ENI/TE/01/16 (GE/27)

1.2. სახელწოდება: "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში"

1.3. ბენეფიციარი ქვეყანა: საქართველო

1.4. წევრი სახელმწიფოები: ლიეტუვა/გერმანია/პოლონეთი

1.5. აქტივობა: 1.2.2. საკონსულტაციო დოკუმენტის მომზადება.

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1. მიზანი	საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის დაინტერესებული მხარეების კონსულტირება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონქვემდებარე აქტებში (მეორადი კანონმდებლობა) ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით
2.2. სამიზნე ჯგუფი	საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის დაინტერესებული მხარეები: - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურების მიმწოდებლები; - სატრანზიტო მაუწყებლობის მიმწოდებლები; - მომხმარებელთა ასოციაციები; - ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მოქმედი ასოციაციები;

	- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების, მაუწყებლობის მომსახურების ბოლოო მომხმარებლები, რადიოსიხშირეების მომხმარებლები, რომლებიც განკუთვნილი არ არის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის; - სახელმწიფო ორგანოები.
2.3. კონსულტაციის პერიოდი	**13 მაისი, 2019 წელი – 13 ივნისი, 2019 წელი**
2.4. სემინარები	1. საინფორმაციო სემინარი დაინტერესებული მხარეებისთვის გაიმართა **2019 წლის 27 მარტს**. მიზანი: საკონსულტაციო დოკუმენტის შინაარსის განმარტება.
	2. საკონსულტაციო პერიოდის შემდეგ დაინტერესებული მხარეებისთვის მოეწყობა საკონსულტაციო სემინარი. მიზანი: საჯარო კონსულტაციის პერიოდში დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი კომენტარების განხილვა.
2.5. ენა	ინგლისური
2.6. როგორ წარადგინოთ თქვენი მოსაზრება/კომენტარები	კომენტარები უნდა გაიგზავნოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ელ-ფოსტის მისამართზე: consultation@gncc.ge
2.7. სხვა ინფორმაცია	საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით, 2019 წლის 29 მაისს დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარდება საკონსულტაციო სემინარი. სემინარი დაინტერესებული მხარეებისთვის გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (მისამართი: თბილისი, ქეთევან წამებულის/ბოჭორმის ქ. 50/18). კომენტარები წარედგინება წერილობითი ფორმით, მთელი საკონსულტაციო პერიოდის განმავლობაში. ყველა კომენტარი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. სემინარებზე მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ასევე გათვალისწინებული იქნება.

4. განმარტებითი შენიშვნები

ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ წარმოადგენს წესების ერთობლიობას, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოიყენება. იგი ხელს უწყობს კონკურენციას, აუმჯობესებს ბაზრის ფუნქციონირებას და მომხმარებელთა ძირითადი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. მარეგულირებელი ჩარჩო შედგება 5 დირექტივისგან, კერძოდ, ჩარჩო დირექტივისა[1] და სპეციალური დირექტივებისგან (დაშვების შესახებ დირექტივა[2], ავტორიზაციის შესახებ დირექტივა[3], უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[4], პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა[5]).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით[6], სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილია[7], რომ საქართველო იღებს ვალდებულებას, თავისი კანონმდებლობა ჩარჩო დირექტივასა და სპეციალურ დირექტივებთან შესაბამისობაში მოიყვანოს, კერძოდ, ამოქმედდეს რეგულაცია ზოგადი ნებართვის მინიჭების შესახებ, რომელიც ინდივიდუალურ ლიცენზიებს აწესებს მხოლოდ კონკრეტულ, სათანადოდ დასაბუთებულ საქმეებზე, ასევე ადგენს საჯარო კონსულტაციების ჩატარების ახალ მარეგულირებელ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების პატივისცემას.

---

[1] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7 მარტის **დირექტივა #2002/21/EC** ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ზოგადი მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (**ჩარჩო დირექტივა**), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის #2009/140/EC დირექტივით; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02002L0021-20091219.

[2] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7 მარტის **დირექტივა #2002/19/EC** ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შეასხებ (**დაშვების მინიჭების შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის #2009/140/EC დირექტივით; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02002L0019-20091219.

[3] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7 მარტის **#2002/20/EC დირექტივა** ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების ავტორიზაციის (**ავტორიზაციის შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის #2009/140/EC დირექტივით; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02002L0020-20091219.

[4] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 7 მარტის **დირექტივა #2002/22/EC** უნივერსალური მომსახურებებისა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების შესახებ (**უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის #2009/136/EC დირექტივით; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02002L0022-20091219.

[5] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის **დირექტივა #2002/58/EC** ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ (**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა**), რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის #2009/136/EC დირექტივით; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02002L0058-20091219.

[6] https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02).

[7] დანართი XV-B "წესები, რომლებიც გამოიყენება სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმართ".

დამმობილების პროექტის ფარგლებში შეფასდა მოქმედი საკანონმდებლო ბაზა (მეორადი კანონმდებლობა) ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ ხარვეზების დადგენის და ახალი რეგულაციების მიღების ან არსებული დადგენილებების სრულყოფის მიზნით, ასევე მოქმედი კანონქვემდებარე აქტების (მეორადი კანონმდებლობა) გაუმჯობესების შესახებ წინადადებების წარდგენა, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

4.1. ზოგადი ნებართვის რეჟიმი ელექტრონული კომუნიკაციების საქმიანობის განსახორციელებლად

ევროკავშირის ძირითადი სამართლებრივი აქტი, რომელიც ზოგადი ნებართვის წესს ადგენს, არის ავტორიზაციის შესახებ დირექტივა (მათ შორის, დანართი)[8].

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონპროექტი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის საფუძვლებს განსაზღვრავს[9], რომლის თანახმად, აღნიშნული საქმიანობა ავტორიზაციის და ზოგადი ნებართვის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

საქართველოში არ არსებობს მეორადი კანონმდებლობა ზოგადი ნებართვის შესახებ, ამიტომ მოცემული დოკუმენტი შეიცავს წინადადებებს ძირითადი ასპექტების იდენტიფიცირების შესახებ, რომელიც უნდა განისაზღვროს კომისიის მიერ ზოგადი ნებართვის შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტით.

დოკუმენტის ძირითადი სტრუქტურა უნდა წარმოადგენდეს ზოგადი ნებართვის რეგულირების ჩარჩოს და მოიცავდეს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მომზადების და განხორციელების წესებს, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო საქმიანობის (ქსელების/მომსახურებების მიწოდება) დაწყების შესახებ შეტყობინების წარდგენას; ასევე, ელექტრონული კომუნიკაციების საქმიანობის განხორციელების ძირითად პირობებს (ქსელების/მომსახურებების მიწოდება); ინფორმაციას ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობის, განთავსების ადგილმდებარეობის და საკუთრების შესახებ; ტერმინალური მოწყობილობის კავშირს და ინფორმაციის მიწოდებას ინტერფეისების ტექნიკური სპეციფიკაციების უზრუნველყოფის შესახებ; დაშვების შეტყვების აკრძალვის შესახებ.

ავტორიზაციის შესახებ დირექტივის თანახმად[10], კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებისა და მომსახურებების

---

[8] 2002/21/EC https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32002L0020
[9] მუხლი 14, პუნქტი1.
[10] მუხლი 6, პარ. 2.

მიმწოდებლებს[11] ან ამ დირექტივის ფარგლებში, უნივერსალური მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირებს შეიძლება დაეკისროს, უნდა გაიმიჯნოს ზოგადი ნებართვის საფუძველზე მინიჭებული უფლებებისა და ვალდებულებებისგან. ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობისთვის, ცალკეულ ორგანიზაციებზე ასეთი კონკრეტული ვალდებულებების დაკისრების კრიტერიუმები და პროცედურები უნდა განისაზღვროს ზოგადი ნებართვით. აღნიშნული დებულების განხორციელების მიზნით, უნდა მოხდეს მითითება უნივერსალური მომსახურებებისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მარეგულირებელ სხვა სამართლებრივ აქტებზე, რომლითაც დადგენილია, რომ შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ან უნივერსალური მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან შეასრულონ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებიც ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობას არეგულირებენ.

გარდა ამისა, ევროკომისიამ რეკომენდაციის სახით[12] მიიღო ე.წ. რბილი სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა წარადგინონ ანგარიში კომუნიკაციების კომიტეტში თავიანთ ტერიტორიაზე ელექტროსაკომუნიკაციო სისტემების განლაგების და მუშაობის შესახებ. ასეთი ანგარიშები უნდა შეიცავდეს მონაცემებს რეჟიმის დარღვევის დონეების შესახებ (მათ შორის, გაზომვის მაჩვენებლებს შემავალი სიგნალის დონეების შესახებ და სხვა მონაცემებს, რომლებიც ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტის ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო), ასევე, დაბრკოლების პრობლემების და ნებისმიერი აღსრულების ღონისძიების შესახებ, რომლებიც ელექტროსაკომუნიკაციო სისტემებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ელექტროგადამცემი ხაზების კომუნიკაციის ტექნოლოგიური გადაწყვეტა არ არის პოპულარული ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა ბაზარზე ელექტროსაკომუნიკაციო სისტემების შესახებ არსებული მდგომარეობის მონიტორინგი უნდა განახორციელონ. შესაბამისად, აღნიშნული სფეროს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამის ორგანიზაციას ევალება, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს აცნობოს ნებისმიერი დაგეგმილი ელექტროსაკომუნიკაციო საქმიანობის შესახებ.

ზოგადი ნებართვის მარეგულირებელი წესების პროექტი იხილეთ საკონსულტაციო დოკუმენტის დანართში #1.

---

[11] დაშვების შესახებ 2002/19/EC დირექტივის მე-5(1), მე-5(2), მე-6 და მე-8 მუხლების, ასევე უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის 2002/22/EC მე-17 მუხლის თანახმად.

[12] ევროკომისიის 2005 წლის 6 აპრილის რეკომენდაცია ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით ფართოზოლოვანი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32005H0292

4.2. ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა

ელექტრონული კომუნიკაციების კანონი ადგენს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ზოგად პრინციპებს, ინდივიდუალური ლიცენზიების და შედარებითი შერჩევის პროცედურების გამოყენებით. მიუხედავად ამისა, არსებული დებულებები არ არის საკმარისი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალური ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების წესის სამართლებრივი რეგულირებისთვის.

დადგინდა, რომ სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ ზოგადი დებულებები შეიძლება განისაზღვროს კომისიის ცალკე დადგენილებაში, ასევე ავტორიზაციისა და ზოგადი ნებართვის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტის ცალკე თავში, ან სიხშირული სპექტრის განაწილების ცხრილში. ნორმატიული აქტი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისთვის ზოგადი ნებართვის წესის შესახებ უნდა განსაზღვრავდეს ყველა პირობას (ზოგადი, ტექნიკური და ოპერატიული) ზოგადი ნებართვით რადიოხიშრული სპექტრის სარგებლობისათვის, ასევე რადიოსიხშირეების სიას, რომელიც ზოგადი ნებართვის საფუძველზე შეიძლება იქნეს გამოყენებული. დოკუმენტის სრულყოფილი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული ცხრილის პროექტის[13] დანართები უკვე მოიცავს ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ტექნიკურ პირობებს. შესაბამისად, საჭირო არ არის კომისიის მიერ დადგენილების შემუშავება ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენების ყველა პირობის განსაზღვრის შესახებ. ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შესახებ ზოგადი დებულებები ინკორპორირებული უნდა იყოს რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული ცხრილის პროექტში.

ცხრილის შესაბამის დანართებში ინკორპორირება ტერმინების განმარტებას, ასევე ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ სხვა ზოგადი დებულებების დამატებას საჭიროებს.

იმის გადასაწყვეტად, რამდენად საჭიროა ტერმინთა განმარტებების დამატება, ვინაიდან ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეებზე მომუშავე მოწყობილობები უკვე მითითებულია რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული ცხრილის პროექტში, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირეებზე მომუშავე მოწყობილობების (მოწყობილობის კატეგორიების) აღნიშვნა საკმარისი არ არის. დანართებში მითითებული რადიოსიხშირეები შეიძლება გამოყენებული იქნეს ზოგადი ნებართვის საფუძველზე მხოლოდ ამ დანართებში

[13] https://www.gncc.ge/ge/regulation/sixshiruli-da-numeraciis-resursi/spectrum-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva-masalebi/zogadi-nebartvit-gansazgvrul-radiosixshirul-speqtrshi-gamoyenebuli-mowyobilobebis-mimart-motxovnebi.page

მითითებული მოწყობილობების სარგებლობის პირობით. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს მოწყობილობების კონკრეტული კატეგორიების შესაბამისი ფუნქციები. არსებული პრაქტიკით, დადგენილებაში ტერმინთა განმარტების დამატება ხდება. შესაბამისად, ტერმინთა განმარტებები უნდა დაემატოს რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული ცხრილის შესაბამის დანართებში, ხოლო სხვა ზოგადი დებულებები ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობასთან დაკავშირებით უნდა დაემატოს აღნიშნული დანართების შინაარსის განმარტების შემდეგ.

რადიოსიხშირეები, რომლებიც რადიოსამოყვარულო სადგურებისთვის გამოიყენება.

რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული ცხრილის პროექტი ადგენს რადიოსიხშირეებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს რადიოსამოყვარულო სადგურების მუშაობისთვის, რომლის გამოყენების ტექნიკური პირობები განსაზღვრულია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების[14] VII[1] თავში. ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ თანმიმდევრული რეგულირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია რადიოსამოყვარული სადგურების ტექნიკური და ოპერატიული პირობების გადატანა კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების შესახებ დადგენილებიდან რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული ცხრილის მე-4 დამატებით დანართში.

კომისიის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების VII[1] თავი მოიცავს არა მარტო რადიოსამოყვარული სადგურების ტექნიკურ და ოპერატიულ პირობებს, არამედ რადიოსამოყვარულო საქმიანობაში ჩართვის სხვა პირობებს (რადიომოყვარულებისთვის სახმობი ნიშნების მინიჭება, რადიოსამოყვარულო კავშირის განხორციელებისთვის დადგენილი მოთხოვნები, რადიომოყვარულთა პასუხისმგებლობები და სხვ.). რადიოსამოყვარულო საქმიანობის შესახებ რეგულაციის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მართებული იქნება რადიოსამოყვარულო საქმიანობის (მათ შორის, რადიოსამოყვარულო სადგურების ტექნიკური და ოპერატიული პირობები) მარეგულირებელი დებულებების დატოვება კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირეებით სარგებლობის ზოგადი დებულებების პროექტი მოიცავს წესს, რომლის თანახმად, "ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირეების გამოყენების დამატებითი პირობები, გარდა რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნულის ცხრილის დანართებში მოცემული პირობებისა, შეიძლება განისაზღვროს კომისიის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით, რეკომენდებულია რადიოსამოყვარულო საქმიანობასთან

[14] დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის #1 დადგენილებით.

დაკავშირებით ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეებით სარგებლობის ზოგადი დებულებების შესწორება და კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებზე მითითება.

რადიოსადგურების რეგისტრაციის შესახებ.

რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნულის ცხრილის პროექტის მე-4 დანართში მოცემული შეთავაზებების გათვალისწინებით, ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეებით სარგებლობის ზოგადი დებულებების პროექტი რამოდენიმე პირობას მოიცავდა რადიოსადგურების რეგისტრაციის შესახებ, რადგან კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებულია, რომ კომისია ახორციელებს რადიოსამოყვარული სადგურების რეგისტრაციას[15]. არ იქნება სწორი რადიოსიხშირეებით სარგებლობის შესახებ ზოგად დებულებებში ზოგადი ნებართვის საფუძველზე ამ პირობების დამატება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი უკვე განსაზღვრულია კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში. ამიტომ, რადიოსადგურების რეგისტრაცია მომავალში შეიძლება ზოგადი ნებართვის საფუძველზე სხვა რადიოსიხშირეების სარგებლობასთან დაკავშირებით განისაზღვროს. აქედან გამომდინარე, ეს დებულებები, მომავალში განხილვის მიზნით, დარჩება ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეებით სარგებლობის კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში.

ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ ზოგადი დებულებების პროექტი იხილეთ საკონსულტაციო დოკუმენტის #2 დანართში.

4.3. საჯარო კონსულტაციები

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომელიც ეხება არა მარტო ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ან/და მომსახურებების მიმწოდებლებს, არამედ, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსაც, არის საჯაროობა. ეს პრინციპი, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჯარო კონსულტაციების მეშვეობით ხორციელდება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ – რაც არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის საჯაროოს უზრუნველყოფის პროცესი, რა დროსაც ბაზრის მოთამაშეებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებები, კომენტარები ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ მომზადებული ადმინისტრაციული აქტების, ნორმატიულ აქტების პროექტის და სხვა დოკუმენტების შესახებ.

[15] მე-51(2) მუხლის 2 პუნქტი.

ჩარჩო დირექტივით განსაზღვრულია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ამოცანები და დადგენილია პროცედურების ერთობლიობა ევროკავშირის მასშტაბით მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ჰარმონიზებული გამოყენების უზრუნველსაყოფად. ჩარჩო დირექტივაში[16] ხაზგასმულია *„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ ყველა დაინტერესებული მხარისათვის კონსულტაციების უზრუნველყოფის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მათი კომენტარების გათვალისწინების მნიშვნელობა.* <…> მე-6 მუხლში მითითებული პროცედურების გამოყენების წესი <…> განსაზღვრულია ამ დირექტივასა და სპეციალურ დირექტივებში.”

ჩარჩო დირექტივა ადგენს კონსულტაციებისა და გამჭვირვალობის მექანიზმებს. იგი ითვალისწინებს:

- გარდა მე-7(9)[17], მე-20[18], ან 21-ე[19] მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ჩარჩო დირექტივის ან სპეციალური დირექტივების შესაბამისად, ან დააწესონ შეზღუდვები მე-9(3) და მე-9(4)[20] მუხლების შესაბამისად, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შესაბამის ბაზარზე, *მათ დაინტერესებულ მხარეებს პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების გონივრულ ვადაში გაკეთების უფლება უნდა მიანიჭონ.*
- ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ შიდა (ეროვნული) საკონსულტაციო პროცედურები. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ერთიანი საინფორმაციო პუნქტის შექმნა, რომლის მეშვეობითაც ყველა მიმდინარე კონსულტაციაზე დაშვება მოხდება.

- კონსულტაციის პროცედურის შედეგები ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას ბიზნესის კონფიდენციალობის შესახებ ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად

კანონით ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ[21] არ მოითხოვება საჯარო კონსულტაციების გამართვა გადაწყვეტილებების ან ელექტრონული კომუნიკაციების

---

[16] ჩარჩო დირექტივის ნაწილი 15.

[17] გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანო მიიჩნებს, რომ საჭიროა ზომების მიღება კონკურენციის უზრუნველყოფის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურებისგან გადახვევის მიზნით, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიიღოს პროპორციული და დროებითი ზომები. <…> (ჩარჩო დირექტივა, მუხლი 7, პუნქტი 9).

[18] ჩარჩო დირექტივა, მუხლი 20 “ორგანიზაციებს შორის არსებული დავების გადაწყვეტა”.

[19] ჩარჩო დირექტივა, მუხლი 21 “საერთაშორისო დავების გადაწყვეტა”.

[20] ჩარჩო დირექტივა, მუხლი 9 “რადიოსიხშირული რესურსების მართვა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებით”.

[21] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29620?publication=33

მარეგულირებელი სხვა ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებამდე. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების და სხვა საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობა სხვა, ჰორიზონტალური სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება, როგორიცაა კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ, კანონი მაუწყებლობის შესახებ, კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების თანახმად[22], დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ (ანჩაერთონ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო ადმინისტრაციული ორგანოები (მათ შორის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები) ვალდებული არიან თავიანთი ადმინისტრაციული აქტი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოცემულ პერიოდში მათზე კომენტარის გაკეთება. თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ მოითხოვს დაინიტერესებული მხარეების მოსაზრებების განხილვას/გათვალისწინებას (გარდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა) და კონსულტაციების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობას, როგორც ეს ჩარჩო დირექტივით არის დადგენილი. ამასთანავე, საჯარო კონსულტაციების პროცესის არსებული რეგულირება სხვადასხვა სამართლებრივ აქტებშია განსაზღვრული. ჰარმონიზებული პროცედურული მიდგომის არარსებობა საჯარო კონსულტაციების გამართვასთან დაკავშირებით შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ბარიერებს ქმნის საჯარო კონსულტაციის მიზნებისა და სტრუქტურის, ასევე დაინტერესებული მხარეების უფლებების გააზრებაში, რამაც შესაძლოა შეამციროს მათი აქტიური მონაწილეობა და წვლილი საკონსულტაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით. ერთიანი საპროცესო დოკუმენტაციის არარსებობა ასევე ართულებს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საჯარო კონსულტაციების განხორციელებას.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში[23] ცვლილებები საკანონმდებლო პროცესებთან დაკავშირებით ახალ მე-9[1] მუხლს ითვალისწინებს, რომელიც საჯარო კონსულტაციებს ეხება. შეთავაზებული მუხლი განსაზღვრავს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საჯარო კონსულტაციების გამართვის ძირითად დებულებებს და ადგენს, რომ კომისია *„ამტკიცებს საჯარო კონსულტაციების გამართვის დეტალურ პროცედურებსა და წესებს მე-9[1] მუხლის შესაბამისად.”* მიუხედავად პირველადი კანონმდებლობით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დანერგილი საჯარო კონსულტაციების გამართვის პროცედურების დადებითი ეფექტისა, საჭიროა

[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=28
[23] http://www.gncc.ge/ge/legal-acts/sxva-aqtebi/projects

მეორადი კანონმდებლობით საჯარო კონსულტაციების უფრო დეტალური პროცედურების განსაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩარჩო დირექტივა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისგან მოითხოვს კონსულტაციის პროცედურების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობას, კერძოდ, მათ უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია ეროვნული საკონსულტაციო პროცედურების შესახებ, ხოლო საქართველოში არ არსებობს მეორადი კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ, საკონსულტაციო დოკუმენტის მე-3 დანართში წარმოდგენილია საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ წესების პროექტი.

4.4. ბოლოო მომხმარებლების ინტერესებისა და უფლებების დაცვა

ჩარჩო დირექტივის ფარგლებში, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა შეეხება ბოლო მომხმარებლებისთვის ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებისა და მომსახურებების მიწოდებას. დირექტივის მიზანია კარგი ხარისხის, საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებების უზრუნველყოფა ეფექტური კონკურენციის, არჩევანის და ბოლო მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც ბაზარზე არ ხდება მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა ასევე მოიცავს დებულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბოლო მომხმარებლების მიერ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას.

ბოლო მომხმარებლების ინტერესებისა და უფლებების დაცვის შესახებ ძირითადი დებულებები განსაზღვრულია უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივით[24] და ისეთ ასპექტებს მოიცავს, როგორიცაა ხელშეკრულების დეტალური შინაარსის, ხელშეკრულების ხანგრძლივობის განსაზღვრა, გამჭვირვალობის და ინფორმაციის გამოქვეყნების, მომსახურების ხარისხის, თანაბარი ხელმისაწვდომობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბოლო მომხმარებლების მიერ არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა და სხვ. გარდა ამისა, მიღებული იქნა 2015 წლის 25 ნოემბრის რეგულაცია 2015/2120[25], რომლითაც *inter alia* ცვლილებები შევიდა უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივაში, კერძოდ, შესწორდა დებულებები, რომლებიც

[24] უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა, თავი IV.

[25] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნომბრის **რეგულაცია (EU) 2015/2120**, რომელიც ადგენს ინტერნეტზე ღია დაშვების ღონისძიებებს და შესწორებები შეაქვს უნივერსალური მომსახურების შესახებ 2002/22/EC დირექტივასა და ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებების ფარგლებში მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებით, ასევე რეგულაციაში (EU) No 531/2012 ევროკავშირის ფარგლებში საერთო სარგებლობის მობილურ საკომუნიკაციო ქსელებზე როუმინგის შესახებ; https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32015R2120.

ეხებოდა ხელშეკრულებების შინაარსს და ინფორმაციას, რომელიც ბოლო მომხმარებლებს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლის მიერ უნდა მიეწოდოს.

საქართველოს ნორმატიული აქტი, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ წესებს არეგულირებს, დამტკიცებულია კომისიის #3 დადგენილებით, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე (17.03.2006) (შემდგომში - რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ). რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ განსაზღვრავს ძირითად ტერმინებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების პირობებს, ხელშეკრულებების შინაარსთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, განსაზღვრავს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისა და მომხმარებლების მოვალეობებსა და უფლებებს, კომისიის ფარგლებში მოქმედი მომხმარებლეთა ინტერესების სახალხო დამცველის როლს, ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის დავების გადაწყვეტის პროცედურებს და ა.შ..

დაძმობილების პროექტის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი ევროკავშირის კანონმდებლობის კონტექსტში (ჩარჩო დირექტივა, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა, რეგულაცია 2015/2120, რომლითაც შესწორებები შევიდა უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივაში), ასევე, პრაქტიკულ საკითხებთან ერთად იქნა განხილული, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

I. *განმარტებების სრულყოფა.* ევროკავშირის ელექტრონულ საკომუნიკაციო მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები განსაზღვრულია ჩარჩო დირექტივაში. ძირითადი ტერმინია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება. ჩარჩო დირექტივის თანახმად, *ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება*[26] ნიშნავს "მომსახურებას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ანაზღაურება და მთლიანად ან ძირითადად ხორციელდება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებზე, რაც მოიცავს სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს და ქსელში მაუწყებლობისთვის მომსახურების ტრანსმისიას სიგნალების გადაცემით, მაგრამ გამორიცხავს მომსახურებებს, რომლებიც ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურებების გამოყენებით გადაცემულ შინაარსზე სარედაქციო კონტროლს; იგი არ შეიცავს საინფორმაციო საზოგადოებრივ მომსახურებას, როგორც ეს განსაზღვრულია 98/34/EC დირექტივის 1-ლი მუხლით, რომელიც არ ითვალისწინებს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებზე სიგნალების მთლიანად ან ძირითადად გადაცემას". ეს განსაზღვრება გვიჩვენებს, რომ

[26] ჩარჩო დირექტივის მუხლი 2, (c) პუნქტი.

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ძირითადი ფუნქცია არის სიგნალების გადაცემა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებია ხმოვანი ტელეფონია, ტექსტური შეტყობინებები (SMS), ფაქსი, მონაცემთა გადაცემა, ინტერნეტ მომსახურება). იგი არ ითვალისწინებს საინფორმაციო საზოგადოებრივ მომსახურებას და შინაარსთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით ტერმინი „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება“ განისაზღვრება რეგლამენტით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ[27], რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას, არამედ შინაარსთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს (როგორიცაა, ვებ-ჰოსტინგი, ჩატი, ინტერნეტ თამაშები) და ამგვარად, არ შეესაბამება ჩარჩო დირექტივას. აღნიშნული განმარტების ჩარჩო დირექტივასთან ჰარმონიზების მიზნით, რეკომენდებულია მისი შეცვლა ჩარჩო დირექტივის შესაბამისად და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განმარტებიდან ყველა იმ მომსახურებების ამოღება, რომლებიც დაკავშირებულია შინაარსთან, ასევე უნდა მოხდეს შინაარსთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ დებულებების ცალკე თავში გადატანა.

უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[28] ადგენს ბოლო მომხმარებელთა უფლებებს და იმ პირების შესაბამის ვალდებულებებს, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებსა და მომსახურებებს აწვდიან. აღნიშნული დირექტივა[29] მოიცავს ცალკეულს ელემენტებს *მომხმარებელთა* დაცვის კუთხით, მათ შორის, ხელშეკრულების მკაფიოდ განსაზღვრულ პირობებსა და დავების გადაწყვეტის წესს, ასევე მომხმარებლებისთვის დადგენილი ტარიფების გამჭვირვალობას. ის ასევე ხელს უწყობს *მომხმარებლების* სხვა კატეგორიებისთვის, კერძოდ, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ცალკეული შეღავათების დადგენას.

ჩარჩო დირექტივის ფარგლებში, *ბოლო მოსარგებლე*[30] ნიშნავს *მოსარგებლეს*, რომელიც არ აწვდის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფის მომსახურებას ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებას. ამ კონტექსტში, *მოსარგებლე*[31] ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებას. *მომხმარებელი*[32] ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს,

---

[27] მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგულაციის მე-3 მუხლი 3, პუნქტი (g).
[28] უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის მე-2 მუხლი.
[29] უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა, ციტატა 49.
[30] მუხლი 2, (n) პუნქტი, ჩარჩო დირექტივა.
[31] მუხლი 2, (h) პუნქტი, ჩარჩო დირექტივა.
[32] მუხლი 2, (i) პუნქტი, ჩარჩო დირექტივა.

რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებს იმ მიზნებისთვის, რომლებიც სცილდება მის სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიულ ფარგლებს. აქედან გამომდინარე, არსებითი განსხვავებაა მომხმარებელსა და ბოლოო მოსარგებლეს შორის. ბოლო მოსარგებლის განმარტება უფრო ფართოა და მოიცავს როგორც მომხმარებელს (ფიზიკურ პირს, რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას მისი პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის) და სხვა ბოლო მოსარგებლეებს (იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, რომლებიც იყენებენ ან მოითხოვენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას სავაჭრო, ბიზნეს და პროფესიული მიზნებისთვის და სხვა პირებს არ აწვდიან ასეთ მომსახურებას).

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში[33] მოცემული ტერმინების „მომხმარებელი“ და „ბოლო მომხმარებელი“ განმარტებები უფრო ვიწროა, ვიდრე ჩარჩო დირექტივის განმარტებები. ეს ნიშნავს იმას, რომ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი ადგენს სამართლებრივ ნორმას მომხმარებლებისა და ბოლოო მომხმარებლების შესახებ, რომელიც დირექტივით განსაზღვრულ ჯგუფთან შედარებით უფრო ვიწრო ჯგუფს ეხება. ამიტომ, რეკომენდებულია აღნიშნული ტერმინების ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა. რაც შეეხება მომხმარებლის განმარტებას *(ფიზიკური პირის მნიშვნელობით)*, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი მას ცალკე არ განმარტავს. აღნიშნული ტერმინი განსაზღვრულია რეგლამენტით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და პრაქტიკულად, იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით განსაზღვრულ ტერმინს „ბოლოო მომხმარებელი“. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს ბოლოო მოსარგებლისა და მომხმარებლის განმარტებებს და ამიტომ, ის არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. ბოლო მოსარგებლისა და მომხმარებლის ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში არსებული „მოხმარებლის“ ტერმინის შესწორება ჩარჩო დირექტივის შესაბამისად და რეგლამენტის ტექსტში არსებული ტერმინების „ბოლოო მომხმარებელი“ და „მომხმარებელი“ გამოყენების წესის დაკონკრეტება მათი შესაბამისი მნიშვნელობისა და რეგულირების მიზნებისთვის.

ჩარჩო დირექტივა[34] განსაზღვრავს ტერმინს *„ქსელის ტერმინაციის წერილი“.* მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის თანახმად, დემარკაციის წერტილის[35] განმარტება არ შეესაბამება ჩარჩო დირექტივის განმარტებას.

---

[33] მუხლი 2, (n) და (z[16]) პუნქტი, კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.
[34] მუხლი 2, (da) პუნქტი, ჩარჩო დირექტივა.
[35] მუხლი 3, პუნქტი (p) რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

რეკომენდებულია აღნიშნული ტერმინის ჰარმონიზება და შეცვლა დირექტივის განმარტების შესაბამისად.

ტექნოლოგიური და საბაზრო ევოლუციის, ასევე უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის შესაბამისად[36], ასევე რეკომენდებულია ტერმინის *„მობილური სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურება“* შეცვლა ტექნოლოგიურად უფრო ზოგადი სახით. ასევე, ტერმინი „ინტერნეტ მომსახურება“ შეიძლება განისაზღვროს 2015/2120 რეგულაციის[37] შესაბამისად.

II. *წინადადებები გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ.* გამჭვირვალე, განახლებული და შედარებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეთავაზებებისა და მომსახურებების შესახებ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საბოლოო მომხმარებლებისა და მომხმარებლებისთვის ძირითად ელემენტს წარმოადგენს კონკურენტულ ბაზრებზე, სადაც მომსახურებას ბევრი მიმწოდებელი ახორციელებს. უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის თანახმად, საბოლოო მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ საკომუნიკაციო მომსახურებების შესახებ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ასეთი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს მკაფიო, სრული და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით. უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[38] და რეგულაცია 2015/2120[39] იმ ინფორმაციის დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს, რომლებიც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ უნდა გამოქვეყნდეს.

რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ[40] განსაზღვრავს ინფორმაციას, რომელიც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ უნდა მიეწოდოს მომხმარებლებს (საინფორმაციო კატალოგის, ტელეფონის ან ვებ-გვერდის მეშვეობით). მაგრამ, ინფორმაციის ეს ჩამონათვალი არ მოიცავს ყველა იმ დებულებას, რომელიც უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივასა და 2015/2120 რეგლამენტშია განსაზღვრული. მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან აბონენტებს აცნობონ საგანგებო სამსახურების ან ზარის განმახორციელებელი პირის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ნებისმიერი ცვლილების შესახებ; აბონენტებს აცნობოს მათი უფლების შესახებ, მათი პერსონალური მონაცემების აბონენტთა ცნობარში დატოვების, ან ამ მონაცემების ტიპების შესახებ; რეგულარულად აცნობოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბონენტებს მათთვის განკუთვნილი პროდუქტებისა და

---

[36] მუხლი 2, პუნქტი (c), განსაზღვრულია ტერმინი საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო მომსახურების შესახებ.

[37] მუხლი 2, პუნქტი 2, რეგულაცია 2015/2120.

[38] მუხლი 21 და დანართი II, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

[39] მუხლი 4, პუნქტი 1, რეგულაცია 2015/2120.

[40] მუხლი 4, პუნქტები 1, 2 და 7, რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

მომსახურებების დეტალებზე, და სხვ.; გარდა ამისა, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა, 2015/2120 რეგლამენტის შესაბამისად, უნდა გამოაქვეყნონ დეტალური ინფორმაცია გამოყენებული ტრაფიკის მართვის ღონისძიებების და ინტერნეტ მომსახურების ხარისხზე მათი გავლენის შესახებ, ასევე საბოლოო მომხმარებელთა კონფიდენციალურობის და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ; ინტერნეტ მომსახურების მინიმალური, ჩვეულებრივ ხელმისაწვდომი, მაქსიმალური და რეკლამირებული ჩამოტვირთვის და ატვირთვის სიჩქარის განმარტება და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დებულებების შესწორება ინფორმაციის გამჭვირვალობისა და გამოქვეყნების წესის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივასა და 2015/2120 რეგლამენტში.

III. *წინადადებები ხელშეკრულების შინაარსის მოთხოვნებთან დაკავშირებით.* ხელშეკრულება მომხმარებლებისთვის მნიშნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის გამჭვირვალობის და სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა სავალდებულოდ ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების დეტალური შინაარსის წარმოდგენას. უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[41] და რეგულაცია 2015/2120[42] განსაზღვრავს ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ხელშეკრულებაში უნდა იყოს გათვალისწინებული. მოთხოვნილი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს მკაფიოდ, სრულად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით.

საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში ხელშეკრულების შინაარსის მოთხოვნები განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში,[43] მაგრამ ისინი არ შეიცავს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივასა და 2015/2120 რეგულაციაშია მოცემული (მაგალითად, ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს ინფორმაცია საგანგებო მომსახურების ხელმისაწდომობის და ზარის განმახორციელებელი პირის ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე საგანგებო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ; ინფორმაცია კომპანიის მიერ ტრაფიკის მოცულობის გასაზომად დადგენილი პროცედურების შესახებ ქსელის მბულის შევსების ან გადავსების თავიდან ასაცილებლად, და ინფორმაცია ამ პროცედურების მომსახურების ხარისხზე შესაძლო გავლენის შესახებ; მომსახურების მიმწოდებლის მიერ ტერმინალური მოწყობილობის გამოყენებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა; აბონენტის უფლება, განათავსოს ან უარი განაცხადოს პერსონალური მონაცემების და სხვა მონაცემების საინფორმაციო ცნობარში

[41] მუხლი 20, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.
[42] მუხლი 4, პუნქტი 1, რეგულაცია 2015/2120.
[43] მუხლი 10^9 და 12, რეგლამენტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

გამოქვეყნებაზე; ხელშეკრულების ხანგრძლივობა და მომსახურების განახლებისა და შეწყვეტის პირობები; ხელშეკრულება ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სარეკლამო შეთავაზებიდან მიღებული პირობებით სარგებლობის და მინიმალური ხანგრძლივობის შესახებ,; ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი და სხვა იდენტიფიკატორები, ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, ტერმინალურ მოწყობილობასთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურება; შესაძლო ქმედებები, რომლებიც ორგანიზაციამ შეიძლება განახორციელოს უსაფრთხოების და სისტემის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, საფრთხის ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად; გარდა ამისა, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ხელშეკრულება, რომელიც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებს, შეიცავდეს მინიმუმ 2015/2120 რეგულაციით განსაზღვრულ ინფორმაციას, ტრაფიკის მართვის გამოყენებული ზომების და ინტერნეტ მომსახურების ხარისხზე გავლენის შესახებ, საბოლოო მომხმარებლების კონფიდენციალურობას და პერსონალური მონაცემების დაცვას; ინტერნეტ მომსახურების მინიმალური, ჩვეულებრივ ხელმისაწვდომი, მაქსიმალური და რეკლამირებული ჩამოტვირთვის და ატვირთვის სიჩქარე; მომხმარებლის დაცვის საშუალებები ინტერნეტ მომსახურების არასათანადო ხარისხით მიწოდების შემთხვევაში, ა.შ.). აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დებულებების შესწორება ხელშეკრულების შინაარსის მოთხოვნებთან დაკავშირებით, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის და 2015/2120 რეგულაციის შესაბამისად.

იმის გამო, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო საქმიანობის რეგულირება ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპზეა დაფუძნებული, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში ზოგადი მოთხოვნების და ყველა სახის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფის დადგენა. დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და კონკრეტული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისთვის (მაგ.: ინტერნეტ მომსახურება, საერთო სარგებლობის მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურება).

IV. *ხელშეკრულებების ხანგრძლივობის (ვადის) განსაზღვრა.* უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[44] ადგენს ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დირექტივის თანახმად, განსაზღვრული ვადით გაფორმებული პირველი ხელშეკრულება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის არ შეიძლება დაიდოს 24 თვეზე ნაკლები ვადით. ხელშეკრულების სავალდებულო 24 თვიანი ვადის გარდა, პირველი ხელშეკრულების გაფორმებისას, ელექტრონული საკომუნიკაციო

[44] მუხლი 30, პუნქტი 5, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

მომსახურების მიმწოდებელმა ყველა საბოლოო მომხმარებელს მინიმუმ ერთი, 12 თვის ვადით, ხელშეკრულება უნდა შესთავაზოს. ვინაიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი არ არეგულირებს ხელშეკრულების ვადებს, რეკომენდებულია აღნიშნულ რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებ დებულების დამატებით.

V. *ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა სრულყოფა.* უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის თანახმად[45], აბონენტებს უფლება აქვთ, გააუქმონ ხელშეკრულება ჯარიმის გარეშე, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ საკონტრაქტო პირობების შეცვლის შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში. აბონენტებს შესაბამისი შეტყობინება ნებისმიერი ცვლილების შესახებ მინიმუმ 1 თვით ადრე უნდა გაეგზავნოთ , ასევე მათ უნდა ეცნობოთ თავიანთი უფლების შესახებ, რომ შეუძლიათ ჯარიმის გარეშე გააუქმონ ხელშეკრულება, თუკი არ ეთანხმებიან ახალ პირობებს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი ხელშეკრულების პირობებში ცვლილებებთან დაკავშირებით შეტყობინების სხვადასხვა ვადებს ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისთვის, (მაგალითად, 10 სამუშაო დღე, 10 დღე, 1 თვე)[46]. იმის გამო, რომ ერთ-თვიანი ვადა არ შეესაბამება უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის მოთხოვნებს, ასევე რეგლამენტი არ შეიცავს დებულებებს აბონენტთა უფლების შესახებ, შეტყობინების მიღების შემდეგ შეტყვიტოს ხელშეკრულება, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის რეგულირება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების მიერ საკონტრაქტო პირობების შეცვლის შესახებ შეტყობინების გაგზავნის სათანადო ვადის დადგენის მიზნით, ასევე უნდა განისაზღვროს აბონენტთა უფლება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ჯარიმის გარეშე, თუ ისინი არ ეთანხმებიან ახალ პირობებს.

VI. *წინადადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბოლოო მომხმარებლების მიერ თანაბარი ხელმისაწვდომის და არჩევანის უზრუნველყოფა.* უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის[47] დებულებების მიზანია

---

[45] მუხლი 20, პუნქტი 2, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

[46] მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს წინასწარ, არანაკლებ 10 დღის ადრე, შეატყობინოს მომსახურების მიწოდების ვადებსა და პირობებში რაიმე ცვლილებების შესახებ; მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპიუნქტით, მომსახურების მიმწოდებელმა, მომსახურების ტარიფის ცვლილების შემთხვევაში, ინფორმაცია ინდივიდუალური შეტყობინების სახით უნდა გაუმგზავნოს მომხმარებელს, ახალი ტარიფით მომსახურების დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე; მე-10[9] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელმა, მომსახურების ტარიფის შეცვლის შემთხვევაში, ინდივიდუალური შეტყობინების ფორმით, ახალი ტარიფით მომსახურების დაწყებამდე 1 თვით ადრე, უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის ინფორმირება, ხოლო მომსახურების პაკეტის შეცვლის შემთხვევაში, ახალი პაკეტის ამოქმედებამდე 10 დღით ადრე.

[47] მუხლი 23a, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბოლოო მომხმარებლებისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის და არჩევანის უზრუნველყოფა, რაც მათ, სხვა საბოლოო მომხმარებლების მსგავსად, ტექნოლოგიურ პროგრესში უფრო სრულად ჩართულობის და სარგებლობის საშუალებას აძლევს. მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე, სხვა საბოლოო მომხმარებლების მსგავსად, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ორგანიზაციებისა და ხელმისაწვდომი მომსახურებების არჩევის შესაძლებლობის მიცემა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების შესახებ რეგლამენტის დებულებების შესწორება და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებისთვის შესაბამისი ვალდებულებების დადგენა.

VII. *ხარჯების კონტროლის სრულყოფა.* უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივის თანახმად[48], უზრუნველყოფილი უნდა იყოს საშუალებები და მომსახურებები, რაც აბონენტებს ხარჯების მონიტორინგის და კონტროლის საშუალებას მისცემს, ასევე თავიდან ააცილებს მომსახურებიდან გაუფრთხილებლად გამორთვას. ასეთი საშუალებები და მომსახურებებია დეტალური ანგარიში, წინასწარი გადახდის სისტემა (მომხმარებლების მიერ საჯარო საკომუნიკაციო ქსელებთან დასაკავშირებლად საფასურის გადახდის და საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო მომსახურების წინასწარი გადახდის პირობით სარგებლობის შესაძლებლობა), ჩართვის (კავშირის) გადასახადის ეტაპობრივი გადახდა, ხარჯების კონტროლის სხვა საშუალებები (აბონენტებისთვის უფასო შეტყობინებები მომსახურების დიდი მოცულობით გამოყენების შემთხვევაში), და ა.შ. რაც შეეხება დეტალიზებულ ანგარიშს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ დაადგინონ დეტალური ანგარიშის ნომინალური ფორმა, რომელსაც მომსახურების მიმწოდებლები აბონენტებს უფასოდ მიაწვდიან. დეტალიზებული ანგარიში არის საშუალება, რომლითაც აბონენტს შეთავაზებული მომსახურების გამოყენების შედეგად შესაძლო ხარჯების შემოწმებისა და კონტროლის, ასევე მათ გამოყენებასა და ხარჯვაზე სათანადო მონიტორინგის განხორციელების საშუალება ეძლევა. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დეტალები აბონენტებს შეიძლება შესთავაზონ გონივრულ ფასად ან უფასოდ. უფასო ზარები, მათ შორის, ნდობის ტელეფონზე (helplines) დაკავშირება, არ უნდა იყოს გათვალისწინებული დეტალიზებულ ანგარიშში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში შესაბამისი შესწორებების შეტანა ანგარიშის შესახებ ინფორმაციის და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ.

[48] მუხლები 10 და 29 (1), დანართი 1, ნაწილი „A“, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

VIII. *მომსახურებების შეზღუდვა და შეწყვეტა.* უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა[49] მოითხოვს, რომ MS-ებს ჰქონდეთ მომხმარებელთა მიერ გაცემული გადასახადის გადაუხდელობისთვის პროპორციული, არადისკრიმინაციული კონკრეტული ღონისძიებების დადგენის და გამოქვეყნების უფლებამოსილება. ასეთი ღონისძიებების თანახმად, დროული გაფრთხილება წინასწარ უნდა მიეცეს აბონენტს ნებისმიერი მომსახურების შეტყვეტის ან გამორთვის შესახებ. თაღლითობის შემთხვევების გარდა, მუდმივად დაგვიანებული გადახდის ან გადაუხდელობის შემთხვევაში, გამოიყენება აღნიშნული ღონისძიებები, თუ ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი. გადასახადის გადაუხდელობის გამო გამორთვა შესაძლებელია მხოლოდ აბონენტისთვის სათანადო გაფრთხილების მიცემის შემდეგ. შესაძლებელია მომსახურების გამორთვამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეზღუდული მოცულობით მიწოდება, რა დროსაც აბობენტს შეეძლება მხოლოდ ცალკეული ზარების (მაგ.“ “112”) განხორციელება. შესაბამისად, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მომსახურების ვადებისა და პირობების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ, რათა რეგულაცია უფრო გასაგები და სრული გახდეს.

IX. *სხვა წინადადებები.* დაძმობილების პროექტის ფარგლებში ცალკეული პრაქტიკული საკითხები განისაზღვრა, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, რეკომენდებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში შემდეგი პირობების გათვალისწინება:

- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულება, კომისიას წარუდგინონ თითოეული შეთავაზებული მომსახურების ან მომსახურებათა პაკეტის ტიპიური ხელშეკრულება, ასევე ხელშეკრულების პირობების შესწორებები კომისიის მოთხოვნის შესაბამისად;

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლება, დაადგინოს მომხმარებლის ზარებზე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის რეაგირების საშუალო ხანგძლივობა 24-საათიანი ცხელი ხაზის საშუალებით[50] (მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა დახმარების (მომსახურების) ცენტრი); ამ შესწორების მიზანი არის ის, რომ ხშირად მომსახურების მიმწოდებლის თანამშრომელი/წარმომადგენელი ხშირად არ პასუხობს ბოლო მომხმარებლის ზარს);

[49] დანართი I, ნაწილი „A“, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა.

[50] მუშაობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

- ხელშეკრულების ტექსტის შრიფტის მინიმალურ ზომასთან დაკავშირებული მოთხოვნა (ეს ცვლილება საჭიროა, ვინაიდან ხშირად ხელშეკრულების ტექსტი მეტისმეტად მცირე ზომის შრიფტით არის დაწერილი);

- ხელშეკრულების შეწტყვეტის შესახებ უფრო დეტალური დებულებები;

- დამატებითი მოთხოვნები საერთო სარგებლობის მობილური სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით (მაგალითად, მომხმარებელთა მიერ ინტერნეტ მომსახურების მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებების/შესაძლებლობების გათვალისწინება, ინტერნეტ მომსახურების ჩამოტვის და ატვირთვის სიჩქარის შემოწმება, ასევე მოხმარებული ინტერნეტ მომსახურების მოცულობის შესახებ ინფორმირებულობა);

- სხვა დებულებები.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში ცვლილებების პროექტი წარმოდგენილია საკონსულტაციო დოკუმენტის მე-4 დანართში.

5. შენიშვნა საჯარო კომენტართან დაკავშირებით

კომენტატორების მოსაზრებები წარდგენა სავალდებულოა შემდეგ დოკუმენტებთან დაკავშირებით: ზოგადი ნებართვის მარეგულირებელი წესების პროექტი, ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის შესახებ წესების პროექტი, საჯარო კონსულტაციების შესახებ წესების პროექტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში ცვლილებების პროექტი.

ზოგადი ნებართვის მარეგულირებელი
წესები
თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და ამოცანები

1. აღნიშნული წესების მიღება მიზნად ისახავს ავტორიზებულ პირთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას ქსელებთან, მომსახურებებთან, ტექნიკურ საშუალებებთან ან სარგებლობის ინდივიდუალური უფლების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითადი პირობების დადგენას, შეზღუდული რესურსების ეფექტური მართვისა და სარგებლობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციური ეკვივალენტობის, პროპორციულობის, აუცილებელი მინიმალური რეგულირების, სწრაფად განვითარებადი ბაზრის სამართლებრივი განჭვრეტადობის, ეკონომიკური განვითარების, ეფექტური კონკურენციის უზრუნველყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ობიექტური მარეგულირებელი კრიტერიუმების, პირობებისა და პროცედურების, გამჭვირვალობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე, ავტორიზაციის გარეშე საქმიანობის განმახორციელებელ პირებისთვის ადგენს ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობის, ტერმინალური მოწყობილობების მოწყობის და საკუთრების, ინტერფეისების ტექნიკური მახასიათებლებისა და ტერმინალური მოწყობილობების ჩართვის, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობების და მიწისზედა სადგურის მოწყობილობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნებსა და კომისიისთვის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესებს.

2. წინამდებარე წესებით გათვალისწინებული პირობები იმ პირების მიმართ გამოიყენება, რომლებიც ახორციელებენ ან განზრახული აქვთ საქმიანობის განხორციელება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, კერძოდ, ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან ან ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომსახურების გაწევასთან ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან, ასევე რადიოსიხშირული სპექტრით და ნუმერაციის რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტერმინალური მოწყობილობის განთავსების ადგილმდებარეობა – ქსელის ტერმინაციის წერტილის ადგილმდებარეობა, რომელსაც უკავშირდება ტერმინალური მოწყობილობა, ქსელის ტერმინაციის წერტილის განთავსების მისამართი, საბაზისო სადგურის ნომერი და პორტატული ნომერი;

ბ) ტერმინალური მოწყობილობის ნომერი – ციფრების ან მისი სიმბოლური ეკვივალენტების თანმიმდევრობა (მათ შორის, სატელეფონო საკომუნიკაციო ნომერი, საერთაშორისო მობილური მოწყობილობის საიდენტიფიკაციო კოდის (IMEI), საერთაშორისო მობილური აბონენტის საიდენტიფიკაციო კოდი (IMSI), ინტერნეტ პროტოკოლის (IP) ნომერი, ელექტრონული მისამართი), რომელიც განსაზღვრავს ტერმინალურ მოწყობილობას ან ქსელის ტერმინაციის წერტილს, რომელსაც უკავშირდება ტერმინალური მოწყობილობა ისე, რომ შესაძლებელი იქნება მონაცემების ამ ტერმინალურ მოწყობილობაზე ან შესაბამის ქსელის ტერმინაციის წერტილზე გაგზავნა;

გ) ელექტროგადამცემი ხაზების საკომუნიკაციო სისტემა – სიგნალის ელექტროენერგიის საკაბელო სისტემებით გადამცემი აპარატურა ან/და დანადგარები საერთო სარგებლობის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების გაწევისთვის, ასევე ელექტროენერგიის საკაბელო სისტემები, რომლებიც ასეთი სიგნალების გადასაცემად გამოიყენება;

დ) საკომუნიკაციო ხაზი – საკომუნიკაციო ხაზი სადენით ან რადიოს მეშვეობით ინფორმაციის გადაცემის, გაგაზავნის ან/და მიღების მიზნით;

ე) ტრანზიტი – საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ან/და სერვისების ერთი მიმწოდებლის ქსელში წარმოწყებული ზარების გადაცემა საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელებით ან/და სერვისების მესამე მიმწოდებლის ქსელით, როდესაც ზარის დასრულება არ ხდება საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ან/და სერვისების მესამე მიმწოდებლის ქსელში;

ვ) სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობა – საკომუნიკაციო მოწყობილობა ან მისი შესაბამისი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო ქსელებთან (მაგ.: ქსელები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ განკუთვნილია საზოგადოებრივი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისთვის) ნებისმიერი საშუალებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირს;

ზ) საერთო სარგებლობის თანამგზავრული ქსელები – საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც შედგება რადიო კავშირისგან საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთან (თანამგზავრებთან) და რადიო სადგურებთან;

თ) საერთო სარგებლობის თანამგზავრული მომსახურება – საერთო სარგებლობის თანამგზავრული ქსელით მიწოდებული მომსახურებები საზოგადოებრივი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში;

ი) თანამგზავრული მიწისზედა სადგურის მოწყობილობა – ტერმინალური

მოწყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს რადიოკავშირის სიგნალების გადაცემის ან/და მიღების მიზნით, თანამგზავრების ან სხვა კოსმოსური სისტემის გამოყენებით.

თავი 2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის დაწყება და განხორციელება

მუხლი 3. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის დაწყება

1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდების ავტორიზაციის მსურველი პირი კომისიას უგზავნის შეტყობინებას, რომლის ფორმას ამტკიცებს კომისია.
2. პირი, რომელიც საერთო სარგებლობის და კომერციულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას საერთოს სარგებლობის ან/და კომერციულ საფუძველზე ახორციელებს, მომსახურების გაწევისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების ან ქსელების (მათ შორის, ინტერნეტის) მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებების შეთავაზება ხდება ბაზარზე არსებული საერთო სარგებლობის სსატელეკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატივის სახით, კომისიას წარუდგენს შეტყობინებას საერთო სარგებლობის ფიქსირებული ან მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების დაწყების შესახებ, კომისიის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
3. თუ გაურკვეველია, ექვემდებარე თუ არა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებული საქმიანობა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კომისიისთვის შეტყობინების წესს, პირი უფლებამოსილია კომისიას მიმართოს აღნიშნული საკითხის განმარტებისთვის, რაზეც პასუხი კომისიის მიერ შეკითხვის მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა მიიღოს.

4. პირმა უნდა მიუთითოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ერთი ან რამდენიმე საქმიანობის შესახებ, რომლის განხორციელებაც განზრახული აქვს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეტყობინების შესაბამისად.

6. კომისია ვალდებულია შეიმუშაოს შეტყობინების ფორმები და პროცედურები, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი და გამოქვეყნებული იქნება კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge.

7. კომისია ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს პირებს, თუ კონკრეტულმა პირმა წარმოადგინა დასაბუთებული შეტყობინება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის დაწყების შესახებ. კომისიამ თავის ვებგვერდზე www.gncc.ge უნდა გამოაქვეყნოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურებების ან/და ქსელების პროვაიდერების სია, რომლებმაც შეატყობინეს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში ჩართვის შესახებ..

მუხლი 4. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განხორციელების ძირითადი პირობები

1. პირი საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელის ან/და საერთო სარგებლობის ელექტრონული ქსელის მომსახურებას უნდა ახორციელებდეს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობისთვის დადგენილი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. პირს, რომელსაც განზრახული აქვს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ნუმერაციის რესურსის ან/და რადიოსიხშირეების (არხების) გამოყენებით განახორციელოს საქმიანობარომელიც უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს რადიოსიხშირეები (არხები) ინდივიდუალური ნებართვის გარეშე, შესაბამისი ნორმატიური აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) მიმართოს კომისიას ნუმერაციის რესურსის ან/და რადიოსიხშირეების (არხების) მინიჭების მოთხოვნით;

გ) მონაწილეობა მიიღოს აუქციონში, თუ რადიოსიხშირეები (არხები)აქციონის შედეგად გაიცემა.

3. პირები, რომლებიც იყენებენ რადიოსიხშირეებს, რომელთა გამოყენება გათვალისწინებულია სარგებლობის ინდივიდუალური უფლების (ლიცენზიის) გარეშე, უნდა აკმაყოფილებდნენ ზოგადი ნებართვით დადგენილ რადიოსიხშირეებით სარგებლობის ზოგად წესებს, სიხშირეების სპექტრის განაწილების ეროვნული ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 5. ინფორმაცია ტერმინალური მოწყობილობის რაოდენობის, განთავსების ადგილმდებარეობის და საკუთრების შესახებ

1. საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურებების მიმწოდებლებმა კომისიას უნდა წარუდგინონინფორმაცია მიმდინარე და გასულ პერიოდში ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობის, განთავსების ადგილმდებარეობის და საკუთრების შესახებ, ასევე სხვაინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება კომისიის მიერ, რადიო მონიტორინგის განხორციელების, რადიოტექნიკური მოწყობილობების და ელექტრონული საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობების ტექნიკური მოთხოვნების დაცვის და რადიოსიხშირეების/არხების გამოყენებაზე ზედამხედველობის მიზნით.

2. საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურებების მიმწოდებლებმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით უნდა წარადგინონ, ხოლო თუ ინფორმაციის მიწოდების ფორმა მოთხოვნაში მითითებული არ არის, მაშინ წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

მუხლი 6. ტერმინალური მოწყობილობის კავშირი და ინტერფეისების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

1. საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურებების მიმწოდებლებმა უნდა დაამტკიცონ და გამოაქვეყნონ ინტერფეისების ზუსტი ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება იმ პირებისთვის მომსახურების მიწოდების მიზნით, რომელთაც ინფორმაციაზე მოთხოვნა მათ ვებ-გვერდებზე გამოაქვეყნეს. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა იყოს უფასოდ ხელმისაწვდომი .

2. საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ან/და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მიმწოდებლების მიერ გამოყენებული ინტერფეისების ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტერმინალური მოწყობილობების წარმოებისთვის საჭირო ინტერფეისების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ სრულყოფილ მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის, შესაბამისი ინტერფეისების გამოყენებით;

ბ) ინტერფეისების ტექნიკურ მახასიათებლებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას, მათ შორის, საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელების ახალი მახასიათებლების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ტერმინალური მოწყობილობის მუშაობაზე.

3. საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ან/და მომსახურების მიმწოდებლებს უფლება აქვთ:

ა) უარი განაცხადონ მიწისზედა ქსელის მოწყობილობების თავიანთ საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელში ჩართვაზე ან ოპერირებაზე, თუ ის არ აკმაყოფილებს რადიოტექნიკური მოწყობილობებისთვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს;

ბ) უარი განაცხადონ ტერმინალური მოწყობილობების, როგორიცაა რადიოკომუნიკაციის მოწყობილობა, თავიანთ საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელში ჩართვაზე, თუ ის არ აკმაყოფილებს რადიო მოწყობილობებისთვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს;

გ) უარი განაცხადონ ტერმინალური მოწყობილობების, რომელიც არ არის რადიოკომუნიკაციის მოწყობილობა, თავიანთ საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვაზე, თუ ის არ აკმაყოფილებს ელექტრომაგნიტური თავსებადობის ან პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მუხლი 7. დაშვების პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ მოლაპარაკებას ქსელების ურთიერთჩართვის შესახებ ვერ შეთანხმდებიან ან/და თუ კომისიის მიერ დაკისრებული შესაბამისი ვალდებულებები სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მაშინ:

ა) იმ ოპერატორმა (ან ოპერატორის მიერ შერჩეულმა მესამე მხარემ) უნდა მოაწყოს და უზრუნველყოს აღნიშნული საკომუნიკაციო ხაზი, რომლის ოპერატორების ქსელებთან მიერთებული საკომუნიკაციო ხაზის მოწყობის ან/და უზრუნველყოფის ფასი შედარებით დაბალია;

ბ) ოპერატორების ქსელებითან ურთიერთჩართვით მოწყობილი საკომუნიკაციო ხაზის შენახვის ფასის განსაზღვრისას, ოპერატორების ქსელში ჩართული ერთი საკომუნიკაციო ხაზის საერთო ხარჯი (მაგ.: მოწყობის, ტესტირების, სხვა ხარჯები) უნდა გაიყოს ყოველთვიურად, საკომუნიკაციო ხაზის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. ოპერატორები უნდა შეთანხმდნენ საკომუნიკაციო ხაზის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობაზე საკომუნიკაციო ხაზის უზრუნველყოფის წინადადებების წარდგენამდე. საკომუნიკაციო ხაზის სასიცოცხლო ციკლის შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ოპერატორების ქსელების ურთიერთჩართვის მოსალოდნელი პერიოდი, კონკრეტული საკომუნიკაციო ხაზის გამოყენების შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისთვის, სხვა ოპერატორების ქსელში ურთიერთჩართვის ან ქსელების ურთიერთჩართვის შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ სხვა მომსახურებების მიწოდების მიზნით;

გ) ოპერატორების ქსელების ურთიერთჩართვით მოწყობილი საკომუნიკაციო ხაზის მიწოდების ან უზრუნველყოფის საფასური უნდა დაიფაროს ამ ხაზის მოხმარების პროპორციულად. ე.ი. თითოეული ოპერატორის მიერ შესაბამის საანგარიშო პერიოდში დასაფარი ღირებულების წილი უნდა იყოს სხვა ოპერატორისგან მიღებული/შესყიდული საბითუმო მომსახურებების ოდენობისა და შესაბამის საანგარიშო პერიოდში საკომუნიკაციო ხაზით მიწოდებული მთლიანი საბითუმო მომსახურებების თანაფარდობის წილის თანაბარი (მაგალითად, თუ საკომუნიკაციო ხაზი გამოიყენება მხოლოდ ხმოვანი ზარის დასრულების მიზნით, საკომუნიკაციო ხაზის საფასურის ასანაზღაურებელი წილი თითოეული ოპერატორისთვის უნდა შეესაბამებოდეს ოპერატორის მიერ სხვა ოპერატორის ქსელში საკომუნიკაციო ხაზის მეშვეობით გასული ზარების წილს ამ საკომუნიკაციო ხაზით დასრულებული ზარების მთლიან ოდენობასთან);

დ) ოპერატორის მიერ სხვა ოპერატორისგან შესაბამისი მომსახურება მიღებულად/შეძენილად ჩაითვლება, თუ აღნიშნული ოპერატორი გარკვეულ ქმედებებს განახორციელებს სხვა ოპერატორის მომსახურების მისაღებად (მაგ.: მიწოდებული მომსახურებისთვის საფასურის გადახდა).

2. ოპერატორი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის #355 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების პირობები, ასევე კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის #2 დადგენილებით დამტკიცებული წესები ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების შესახებ.

3. ოპერატორი ვალდებულია დაიცვას ნუმერაციის რესურსთან დაკავშირებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) საკუთარ ქსელში დანერგოს ეროვნული ნუმერაციის სისტემა. ქსელში განხორციელებული ყველა ცვლილება და ნუმერაციის რესურსთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები საკუთარი ხარჯით უნდა განახორციელოს, სხვა ოპერატორის მოთხოვნის მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში, ნუმერაციის რესურსის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) ტრანზიტული მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, სხვა ოპერატორის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში, ნუმერაციის რესურსის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა ოპერატორს, ვისთანაც გაფორმებული აქვს ქსელების ურთიერთჩართვის შესახებ შეთანხმება, აცნობოს ნუმერაციის რესურსთან დაკავშირებულიმის ქსელში განხორციელებული ყველა ცვლილებისა და სხვა სამუშაოების შესახებ;

გ) ზარების ერთი ქსელიდან მეორე ქსელში გატარების დროს უზრუნველყოს ქსელის ტერმინაციის წერტილების ნომრების გადაცემა. ნომრების ფორმატი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სატელეფონო ნომრების ფორმატს, რომელიც დამტკიცებულია E.164 საერთაშორისო საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო ნუმერაციის გეგმის შესახებ ITU-T-ს რეკომენდაციით;

დ) უცვლელად გადასცეს ქსელის ტერმინაციის წერტილის ნომერი, როდესაც ხდება ზარების ტრანზიტული გატარება.

საკონსულტაციო დოკუმენტი
დანართი 2

ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ ზოგადი დებულებების პროექტი

- **რეკომენდებულია ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ ზოგადი დებულებების, როგორც სიხშირული სპექტრის განაწილების**

ეროვნული გეგმის ნაწილის დამტკიცება[51].

- **რეკომენდებულია შემდეგ ტერმინთა განმარტებების ჩართვა რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის პროექტის შესაბამის დანართებში:**

მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები – რადიოგადამცემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთ ან ორმხრივ მიმართულ კავშირებს და მოკლე დისტანციაზე გადასცემენ დაბალი სიმძლავრის სიგნალებს, სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის #1 დანართში მოცემული პირობების შესაბამისად.

არასპეციფიური მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები – მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები, მათი გამოყენების ან დანიშნულების მიუხედავად, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემული რადიოსიხშირული ჯგუფისთვის განსაზღვრულ პირობებს, სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის #1 დანართში მოცემული პირობების შესაბამისად (ტიპიური გამოყენება მოიცავს ტელემეტრიას, ტელემართვას, სიგნალიზაციებს, მონაცემთა გადაცემას და სხვა აპლიკაციებს).

ფართოზოლოვან მონაცემთა გადაცემის სისტემები – რადიომოწყობილობები, რომლებიც სპექტრზე წვდომისთვის იყენებენ ფართოზოლოვანი მოდულაციის მეთოდს (ტიპიური გამოყენება მოიცავს უსადენო დაშვების სისტემებს, როგორიცაა ლოკალური არეალის რადიო ქსელები (WAS/RLANs)).

საგზაო-სატრანსპორტო და ტრაფიკის ტელემატიკის სისტემები – მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო სფეროებში (გზებზე, რკინიგზაზე, წყლით დაფასულ ტერიტორიაზე, ჰაერში, ტექნიკური შეზღუდვების შესაბამისად), ტრაფიკის მართვის, ნავიგაციის, მობილური საშუალებების მართვისთვის და ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემებში (ITS) (ტიპიური აპლიკაციები გამოიყენება სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებების, მაგ.: მანქანებს შორის, მანქანებსა და ფიქსირებულ ობიექტებს შორის კომუნიკაციისთვის (მაგ.: მანქანასა და ინფრასტრუქტურას შორის), ასევე მომხმარებლებისგან და მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

რადიოგანსაზღვრის მოწყობილობები – მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სახის - ობიექტის ადგილმდებარეობის, გადაადგილების სიჩქარის ან/და სხვა მახასიათებლების გასაზომად, ან ამ პარამეტრებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად. რაიმე სახის წერტილიდან-წერტილამდე ან წერტილიდან-მრავალწერტილოვანი რადიო კომუნიკაცია სცილდება მოცემული განსაზღვრების ფარგლებს.

ავზში სითხის დონის გამზომი რადარი – არის რადიოგანსაზღვრის მოწყობილობის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გამოიყენება ავზში სითხის დონის გასაზომად

[51] https://www.gncc.ge/ge/regulation/sixshiruli-da-numeraciis-resursi/spectrum-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva-masalebi/zogadi-nebartvit-gansazgvrul-radiosixshirul-speqtrshi-gamoyenebuli-mowyobilobebis-mimart-motxovnebi.page

და დამონტაჟებულია ლითონის ან რკინაბეტონის ავზებში, ან მსგავსი მასალის სტრუქტურებში შესუსტების შედარებითი მახასიათებლით.

სიგნალიზაციის მოწყობილობა – რადიოკომუნიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს საიმედო კომუნიკაციას გასაჭირში მყოფი პიროვნებების შეზღუდულ არეალში კომუნიკაციისთვის, მათთვის დახმარების გაწევის მიზნით (სოციალური სიგნალიზაციის მოწყობილობები, როგორც წესი, გამოიყენება ხანდაზმულების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასახმარებლად).

მოდელის კონტროლის მოწყობილობები – ტელემართვის და ტელემეტრიული რადიომოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მოდელის გადაადგილების მართვისთვის ჰაერში, მიწაზე, წყალში ან წყლის ზედაპირზე (ძირითადად, სატრანსპორტო საშუალებების მინიატურული გამოსახულება).

ინდუქციური მოწყობილობები – რადიომოწყობილობები, რომლებიც მაგნიტურ ველებს იყენებენ ინდუქციური რეგულირების სისტემებს მიახლოებულ ობიექტთან კომუნიკაციისთვის (ძირითადად, მოიცავს მოწყობილობებს ავტომობილების იმობილიზაციისთვის, ცხოველების ადგილმდებარეობის იდენტიფიკაციისთვის, სიგნალიზაციების, კაბელების აღმოსაჩენად, ნარჩენების მართვისთვის, პერსონალური იდენტიფიკაციისთვის, უსადენო ხმოვანი კავშირების, წვდომის კონტროლის, მიახლოებული ობიექტის აღმომჩენი სენსორების, გაქურდვის საწინააღმდეგო სისტემების, მათ შორის, გაქურდვის საწინააღმდეგო ინდუქციური სისტემების, მონაცემთა გადაცემის ხელით მართვადი მოწყობილობების, ტვირთების ავტომატური იდენტიფიკაციის, უსადენო კონტროლის სისტემის და ავტომატური საგზაო მოსაკრებლის სისტემებისთვის).

დამხმარე მოსასმენი მოწყობილობები (ALD) – რადიოკომუნიკაციის სისტემები, რომლებიც ძირითადად მოიცავს ერთ ან მეტ რადიოგადამცემს და ერთ ან მეტ რადიომიმღებს, რაც სმენადაქვეითებულ პირებს ხმოვანი სიგნალების გაგების საშუალებას აძლევს.

დაბალსიმძლავრიანი (FM) მოდულაციის გადამცემები – რადიო გადამცემი, რომელიც განკუთვნილია პერსონალური აუდიო მოწყობილობების, მათ შორის მობილური ტერმინალების და საავტომობილო ან სახლის აუდიო სისტემების კავშირისთვის.

რადიოსიხშირის მაიდენტიფიცირებელი მოწყობილობები (RFID) – "თეგებზე"/"ინტერეგატორებზე" (tag/interrogator) დაფუძნებული რადიოკომუნიკაციის სისტემები, რომლებიც შედგება სულიერ ან უსულო საგნებზე მიმაგრებული რადიო მოწყობილობებისგან (tags), და ინფორმაციის გადამცემი/მიმღები ერთეულებისგან - interrogator-ებისგან, რომელიც tag-ების აქტივაციას ახდენს და მონაცემებს იღებს უკან (ძირითადად, გამოიყენება ინფორმაციის ერთეულების კონტროლის და იდენტიფიცირებისთვის, როგორიცაა EAS (Electronic Article Surveillance) და ინფორმაციის ერთეულებთან

დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და გადაცემასთან, რომლებზეც tag-ებია მიერთებული, რაც შეიძლება იყოს ბატარეის გარეშე, დამხმარე ბატარეით ან ბატარეით მომუშავე. tag-დან მიღებული პასუხების შემოწმება ხდება interrogator-ის მეშვეობით და გადაეცემა ჰოსტ-სისტემას, რომელიც მიმაგრებულია სულიერ ან უსულო საგნებზე, ასევე გადამცემი/მიმღები ერთეულების მეშვეობით, რომლებიც tag-ების აქტივაციას ახდენენ და მონაცემებს უკან იღებენ. Tag-დან მიღებული პასუხების შემოწმება interrogator-ის მეშვეობით ხდება და გადაცემა ჰოსტ-სისტემას.

აქტიური სამედიცინო იმპლანტები – აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები (მაგ.: ნებისმიერი სამედიცინო მოწყობილობა, რომელიც ფუნქციონირებს ელექტროენერგიის ან ენერგიის ნებისმიერი წყაროს მეშვეობით, გარდა ადამიანის სხეულიდან ან გრავიტაციის შედეგად გენერირებული ენერგიისა, რომელიც განკუთვნილია სრულად ან ნაწილობრივ, ქირურგიული ან სამედიცინო გზით ადამიანის სხეულში შესაყვანად, რაც უნდა შენარჩუნდეს სამეციდინო პროცედურების შემდეგ) და აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობების რადიო ნაწილები (და სადაც შესაძლებელია, მათთან დაკავშირებული პერიფერიული ელემენტები), რომლებიც განკუთვნილია სრულად ან ნაწილობრივ, ქირურგიული ან სამედიცინო გზით ადამიანის ან ცხოველის სხეულში შესაყვანად.

სამედიცინო მონაცემთა მოპოვების მოწყობილობები – მოწყობილობები, რომლებიც არა-ხმოვანი მონაცემების არა-იმპლანტირებად სამედიცინო მოწყობილობებზე გადასაცემად და ამ მოწყობილობებიდან მონაცემების მისაღებად გამოიყენება, სამედიცინო დაწესებულებებში ან პაციენტის სახლში პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგის, დიაგნოსტირებისა და მკურნალობისთვის.

უსადენო აუდიო მოწყობილობები – მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები, რომლებიც ძირითადად მოიცავს პერსონალურ უსადენო აუდიო და მულტიმედია სტრიმინგის სისტემებს, მობილურ ტერმინალებს, ავტომანქანების ან სახლის გასართობ სისტემებს, უსადენო მიკროფონებს, უსადენო დინამიკებს, უსადენო ყურსასმენებს, პიროვნების სხეულზე განთავსებულ რადიო მოწყობილობებს, დამხმარე მოსასმენ მოწყობილობებს, ყურსასმენებით მონიტორინგს, უსადენო მიკროფონებს კონცერტებსა და სცენაზე გამოსაყენებლად, და დაბალი სიმძლავრის FM გადამცემებს).

პერსონალური მობილური რადიოსადგურები (PMR 446) – ხელით სატარებელი მოკლე დისტანციაზე მოქმედი მოწყობილობები, რომლებიც 446 MHz სიხშირულ დიაპაზონზე მუშაობს (არ ხდება საბაზო სადგურის ან მამეორებლის გამოყენება) და იყენებს მხოლოდ ინტეგრირებულ ანტენებს გაზიარების გაზრდის და ინტერფეისების შემცირებისთვის. PMR 446 მუშაობს მოკლე დისტანციაზე, P2P რეჟიმში.

ჩაურევლობის და დაუცველობის საფუძვლები – არ შეიძლება რადიო მომსახურებამ გამოიწვიოს მავნე ჩარევა და არ შეიძლება ამ მოწყობილობების

დაცვა რადიო კავშირის მომსახურებიდან იმავე დიაპაზონში წარმოქმნილი მავნე ჩარევისგან.

- **რეკომენდებულია ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ დებულებების ჩართვა სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის პროექტში, აღნიშნული გეგმის დანართების შინაარსის განმარტების შემდეგ:**

1. სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დანართებში მითითებული რადიოსიხშირეები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ზოგადი ნებართვის საფუძველზე, მხოლოდ ამ დანართების შესაბამის ცხრილებში მითითებული მოწყობილობების და დანართების ცხრილებში მითითებული პირობების შესაბამისად.

2. სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დანართებში მითითებული რადიოსიხშირეები შეიძლება გამოყენებული იქნეს ამ დანართებში მითითებული შემთხვევების და პირობების გარდა, მხოლოდ სარგებლობის ინდივიდუალური უფლების საფუძველზე და ამ უფლებით გათვალისწინებულ პირობებში.

3. სამოყვარულო რადიოსადგურებისთვის განკუთვნილი რადიოსიხშირეები შეიძლება გამოყენებული იქნეს ზოგადი ნებართვის საფუძველზე, სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2003 წლის 27 ივნისის #1 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების VII[1] თავით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4. ზოგადი ნებართვით გათვალისწინებული რადიოსიხშირეები გამოყენებული უნდა იქნეს არა-ინტერფერენციების და არა-დაცულობის საფუძველზე, თუ სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დანართებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

5. თუკი დადგინდა, რომ ზოგადი ნებართვით განსაზღვრულ რადიოსიხშირეზე მოქმედმა ნებისმიერმა კონკრეტული ტიპის მოწყობილობამ შესაძლოა მავნე გავლენა იქონიოს სხვა რადიოკავშირის სისტემებზე, ამ ტიპის მოწყობილობის გამოყენება უნდა აიკრძალოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით (შემდგომში, „კომისია“), ზოგადი ნებართვით გათვალისწინებული შესაბამისი რადიოსიხშირეების გამოყენების ტექნიკური პირობების გადახედვამდე.

6. დამატებითი პირობები იმ რადიოსიხშირეების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული ცხრილის დანართებშია გათვალისწინებული, შეიძლება განისაზღვროს კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციული აქტით.

7. სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული ცხრილის დანართები არ ცვლის მოთხოვნებს რადიომოწყობილობების, რადიოსადგურების, აპარატურის და

ფიქსირებული დანადგარების, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი აღჭურვილობების/მოწყობილობების კონსტრუქციის, მოწყობის ან/და მუშაობის წესთან დაკავშირებით.

- **თუ რადიოსადგურის რეგისტრაცია ზოგადი ნებართვით განსაზღვრული რადიოსიხშირეების გამოყენების პირობებით დაინერგება მომავალში, რეკომენდებულია შემდეგი პირობების გათვალისწინება ზოგადი ნებართვით განსაზღვრული რადიოსიხშირეების გამოყენების შესახებ ზოგად დებულებებში:**

8. რადიოსადგურების რეგისტრაცია:

8.1. ამ პუნქტის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ზოგადი ნებართვის საფუძველზე რადიოსიხშირეების გამოყენების პირობები რადიოსადგურების რეგისტრაციას ითვალისწინებს.

8.2. რადიოსიხშირეების გამოყენების მსურველმა, რომელიც რადიოსადგურის რეგისტრაციას ითვალისწინებს, უნდა გამოიყენოს ის რადიოსიხშირე და რადიოსადგურის ტექნიკური პარამეტრები, რომლებიც სხვა კანონიერად მოქმედ რადიოსადგურებს ამ რადიოსადგურის მხრიდან მავნე ჩარევისგან იცავს.

8.3. რადიოსადგურის რეგისტრაციის მსურველმა პირმა კომისიას უნდა წარუდგინოს კომისიის მიერ დადგენილი რადიოსადგურის რეგისტრაციის შევსებული ფორმა. რადიოსადგური რეგისტრირებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ რადიოსიხშირეების გამოყენების მსურველი პიროვნების მიერ მითითებული რადიოსადგურის ძირითადი გეოგრაფიული და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია რეგისტრირებული რადიოსადგურების სიაში. რეგისტრირებული რადიოსადგურების სია უნდა გამოქვეყნდეს კომისიის ვებ-გვერდზე.

8.4. კომისიას უფლება აქვს რადიოსიხშირის მომხმარებელს მოსთხოვოს რადიოსადგურის სარეგისტრაციო ფორმაში მითითებული მონაცემების განმარტება კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. კომისიას შეუძლია უარი განაცხადოს რადიოსადგურის რეგისტრაციაზე, თუ რადიოსიხშირის მომხმარებელი ვერ უზრუნველყოფს კომისიის მიერ დადგენილ ვადებში რადიოსადგურის სარეგისტრაციო ფორმაში მითითებული მონაცემების განმარტებას.

8.5. რადიოსიხშირის მომხმარებლებს შეუძლიათ მხოლოდ იმ რადიოსიხშირეების გამოყენება, რომლებიც რადიოსადგურის რეგისტრაციის მომენტისთვის არის განსაზღვრული და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რადიოსადგურის რეგისტრაციის დროს მითითებულია გადამცემის ტიპი, და საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულია რეგისტრირებულ რადიოსადგურზე გარე ანტენის კონკრეტული ტიპი და სიმაღლე, რაც კონკრეტულად მითითებულ მისამართზე და კოორდინატებზე უნდა განთავსდეს და რადიაციულ პარამეტრებს შეესაბამებოდეს.

საჯარო კონსულტაციების შესახებ წესების პროექტი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საჯარო კონსულტაციების შესახებ წესები (შემდგომში, "წესები") ადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში, „კომისია") მიერ საჯარო კონსულტაციების გამართვის პირობებს, წესებსა და პროცედურებს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მე-9[1] მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესების მიზნებისთვის ტერმინი "**საჯარო კონსულტაციები**" ნიშნავს კომისიის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მე-9[1] მუხლის შესაბამისად განხორციელებულ პროცესს, რომლის განმავლობაშიც ყველა დაინტერესებულ მხარეს კომისიის მიერ დადგენილ ვადაში შეუძლია წერილობითი კომენტარების, მოსაზრებების, შენიშვნების, განცხადებების ან/და წინადადებების (შემდგომში, „კომენტარების") წარდგენა კომისიის მიერ მომზადებული ადმინისტრაციული აქტის პროექტთან დაკავშირებით.

2. ამ წესებში გამოყენებული სხვა ტერმინები იმგვარად გაგებული უნდა იქნეს, როგორც ეს განსაზღვრულია ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით.

მუხლი 3. საჯარო კონსულტაციების გამართვის პრინციპი

საჯარო კონსულტაციები იმართება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

ა) **გამჭვირვალობა** – ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კონსულტაციების შედეგების ჩათვლით, გარდა სახელმწიფო, პროფესიული, კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული და პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციისა, საჯაროდ ხელმისაწვდომი და ადგილად გასაგები უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ბ) **ობიექტურობა** – გულისხმობს, რომ ყველა ინფორმაცია საჯარო კონსულტაციების დროს, კონსულტაციების შედეგების ჩათვლით, დაინტერესებულ მხარეებს ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა მიეწოდებოდეს.

გ) **დისკრიმინაციის აკრძალვა** – ნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება, წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები საჯარო კონსულტაციისთვის წარდგენილ ადმინისტრაციული აქტის პროექტთან დაკავშირებით.

დ) **ანგარიშვალდებულება** – ნიშნავს, რომ ყველა წერილობითი კომენტარი, გარდა სახელმწიფო, პროფესიული, კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული და პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციისა, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ არის საჯარო კონსულტაციების დროს წარდგენილი, განხილული უნდა იქნეს და მათზე პასუხები გამოქვეყნდეს.

მუხლი 4. საჯარო კონსულტაციის გამართვის შემთხვევები

კომისია, წინამდებარე წესების შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის მიღებამდე (გამოცემამდე)საჯარო კონსულტაციებს გამართავსელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის მე-18 მუხლის, 21-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტით და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

თავი II. საჯარო კონსულტაციების გამართვის წესები და პროცედურები

მუხლი 5. საჯარო კონსულტაციების გამოცხადება

1. საჯარო კონსულტაციების გამოცხადებასთან ერთად, კომისია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას გამოაქვეყნებს კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge.

2. თუ საჯარო კონსულტაცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ იმართება, შემდეგი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს:

ა) ცნობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო კონსულტაციისთვის წარდგენის თაობაზე, სადაც მითითებული იქნება:

ა.ა) კომისიის სახელწოდება;

ა.ბ) საჯარო კონსულტაციების გამართვის სამართლებრივი საფუძვლები;

ა.გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;

ა.დ) კომისიის მისამართი / ელ-ფოსტის მისამართი კომენტარების წარსადგენად, ასევე, საკონტაქტო პირის მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა);

ა.ე) კომენტარების წარდგენის ვადა;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

გ) განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებული იქნება:

გ.ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების საფუძვლები;

გ.ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი მახასიათებლები;

გ.გ) აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ასახული ან/და განხორციელებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი და ასეთის შემთხვევაში, კონკრეტულად, რომელიც სამართლებრივი აქტი;

გ.დ) საჭიროა თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების შემდეგ ახალი სამართლებრივი აქტის მიღება ან არსებულ სამართლებრივ აქტებში შესწორების შეტანა ან გაუქმება;

გ.ე) სამართლებრივი აქტით პროექტის ავტორ(ებ)ი;

დ) ამ მუხლის „გ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის დანართში გათვალისწინებული „ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი“.

ე) სხვა ინფორმაცია, რასაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

3. როდესაც საჯარო კონსულტაციების ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის პროექტზე იმართება, შემდეგი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს:

ა) ცნობა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო კონსულტაციაზე წარდგენის თაობაზე, სადაც მითითებულია:

ა.ა) კომისიის სახელწოდება;

ა.ბ) საჯარო კონსულტაციების გამართვის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების მოკლე აღწერა;

ა.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადები;

ა.დ) კომისიის მისამართი / ელ-ფოსტის მისამართი კომენტარების წარსადგენად, ასევე, საკონტაქტო პირის მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა);

ა.ე) კომენტარების წარდგენის ვადა;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის პროექტი;

გ) სხვა ინფორმაცია, რასაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

მუხლი 6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენა ადმინისტრაციული ორგანოებისა და ექსპერტებისთვის

საჭიროების შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციის გამოცხადების შემდეგ კომისია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარუდგენს შემდეგ ორგანოებს:

ა) ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტში ან მის ნაწილში განსაზღვრული სამართლებრივი საკითხების რეგლამენტირება გააკეთონ;

გ) ექსპერტებს საჯარო განხილვისთვის.

მუხლი 7. კომენტარების წარდგენის ვადები

1. კომისიის მიერ განსაზღვრული ვადა ადმინისტრაციული აქტის პროექტზე კომენტარების წარსადგენად უნდა იყოს სულ ცოტა 30 კალენდარული დღე წინამდებარე წესების მე-5 მუხლში მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან.

2. კომისიას უფლება აქვს გააგრძელოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადა ადმინისტრაციული აქტის პროექტზე კომენტარების წარსადგენად. კომენტარების წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კომისიის ვებგვერდზე, სადაც ამ წესების მე-5 მუხლში მითითებული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

მუხლი 8. კომენტარების წარდგენა

1. ყველა დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი კომენტარები ადმინისტრაციული აქტის პროექტზე, ადმინისტრაციული აქტის პროექტის წარდგენის თაობაზე შეტყობინებაში საჯარო კონსულტაციებისთვის მითითებულ ვადაში.

2. კომენტარები წარედგინება საჯარო კონსულტაციისთვის ადმინისტრაციული აქტის პროექტის წარდგენის შესახებ შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე.

3. დაინტერესებული მხარეები, კომერციული საიდუმლოების შემცველი კომენტარების წარდგენისას, ვალდებული არიან დაიცვან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ასეთი ინფორმაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად უნდა დარეგულირდეს.

4. საჭიროების შემთხვევაში, კომისიამ ადმინისტრაციულ-ნორმატიული აქტის პროექტზე ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი კომენტარები შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ექსპერტებს უნდა გადაუგზავნოს, კომენტარების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. ადმინისტრაციული ორგანოების ან ექსპერტების მიერ ამ წესების მე-7 მუხლის შესაბამისად დადგენილ ვადაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე კომენტარების წარუდგენლობამ არ შეიძლება ხელი შეუშალოს კომისიის მიერ ადმინისტრაციულ-ნორმატიული აქტის მიღებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით ან ამ კანონის შესაბამისი აქტით აუცილებელია სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა სხვა დაინტერესებული პირები მიერ ადმინისტრაციული აქტის პროექტზე კომენტარების

წარუდგენლობა ამ წესების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში ჩაითვლება მათ თანხმობად აღნიშნულ ადმინისტრაციული აქტის პროექტზე.

მუხლი 9. კომენტარების განხილვა

1. კომისია, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის პროექტზე კომენტარების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში, ვალდებულია:

ა) განიხილოს ყველა წარდგენილი კომენტარი და გამოაქვეყნოს ისინი, გარდა სახელმწიფო, პროფესიული, კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული და პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაციისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ განხილვების ცხრილთან ერთად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოებს მიაწოდოს ადმინისტრაციულ-ნორმატიული აქტის პროექტზე წარდგენილ კომენტარებზე არსებული წერილობითი პასუხებ.

2. ყველა წარდგენილი კომენტარის განხილვის შემდეგ კომისიამ უნდა მოამზადოს განხილვების ცხრილი, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წესების დანართში. განხილვების ცხრილში მითითებული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოები და კერძო პირები, რომლებმაც წარადგინეს კომენტარები, და საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის მიღების თარიღი და ნომერი;

ბ) კომენტარები;

გ) კომისიის პასუხები კომენტარებზე:

გ.ა) დასაბუთება ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო პირის შესაბამისი კომენტარის გაუთვალისწინებლობის ან ნაწილობრივ გათვალისწინების შესახებ, ან

გ.ბ) მითითება ადმინისტრაციული აქტის პროექტის დებულებებზე, რომლებიც შესწორდა/შეიცვალა წარმოდგენილი კომენტარის შესაბამისად.

3. კომისიას უფლება აქვს, არ განიხილოს კომენტარები, რომლებიც არ იქნა წარმოდგენილი საჯარო კონსულტაციებისთვის ადმინისტრაციული აქტის პროექტის წარდგენის თაობაზე განცხადებაში (შეტყობინებაში) ან წარდგენილია კომენტარებისთვის გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ.

4. კომისიას უფლება აქვს, დაიტერესებული მხარეებისგან მიიღოს განმარტება მიღებულ კომენტარებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი შენიშვნები ადმინისტრაციული აქტის პროექტზე წარდგენილი იქნა ან არსებითი შეუსაბამობებია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ კომენტარებს შორის, ან სხვა შემთხვევებში, თუკი კომისიას ამას საჭიროდ მიიჩნევს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კომისიის ვებგვერდზე, სადაც ამ წესების მე-5 მუხლში მითითებული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

6. კომისიამ შესწორებები უნდა შეიტანოს ან უცვლელად დატოვოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარდგენილი ყველა კომენტარის განხილვის შემდეგ. კომისიას ცვლილებების შეტანა მხოლოდ განსახილველი (კონსულტაციების) საგნის ფარგლებში შეუძლია. სხვა ცვლილებები ახალი საჯარო კონსულტაციების გამართვას საჭიროებს.

_____

დანართი
საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ წესებზე

განხილვის ცხრილი

დოკუმენტის პროექტზე წარდგენილ კომენტარებთან დაკავშირებით _____
(ადმინისტრაციული აქტის
პროექტის სახელწოდება)

ადმინისტრაციული ორგანო/ კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	კომენტარები	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარებზე
ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, დოკუმენტის თარიღი და ნომერი	*კომენტარი 1*	*პასუხი კომენტარზე 1*
	კომენტარი….	*პასუხი კომენტარზე …*
ორგანიზაციის დასახელება, დოკუმენტის თარიღი და ნომერი	*კომენტარი 1*	*პასუხი კომენტარზე 1*
	კომენტარი….	*პასუხი კომენტარზე …*
ფიზიკური პირის სახელი და გვარი (ინიციალები), დოკუმენტის ნომერი და თარიღი	*კომენტარი 1*	*პასუხი კომენტარზე 1*
	კომენტარი….	*პასუხი კომენტარზე …*

დანართი 4

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და ბოლო მოსარგებლეთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი[52]

I. ტერმინთა განმარტება

(ზ) **ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება** გულისხმობს ყველა მომსახურებას, რომელიც გადახდის სანაცვლოდ ახორციელებს მაუწყებლობისთვის (რეტრანსლაციისთვის) განკუთვნილი ელექტრონული ქსელებით სიგნალის სრულად ან ძირითადად გადაცემას, სატელეკომუნიკაციო და გადაცემის მომსახურების ჩათვლით. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება არ მოიცავს იმ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს ან ახორციელებს სარედაქციო კონტროლს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების და მომსახურების ფარგლებში გადაცემულ შინაარსზე („კონტენტზე"); ასევე არ მოიცავს ინფორმაციას საზოგადოებრივი მომსახურების შესახებ, რომელიც სიგნალების სრულად ან ძირითადად გადაცემას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით არ ახორციელებს;

(ლ) **მომხმარებელი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ან მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას იმ მიზნებისთვის, რომლებიც სცილდება მის სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებს;

(ჟ) **ქსელის ტერმინაციის წერტილი** – აბონენტის საჯარო ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელზე წვდომის ფიზიკური წერტილი, რომელიც ჩართვის ან მარშრუტიზაციის (routing) ქსელის შემთხვევაში კონკრეტული ქსელის მისამართით დგინდება, რაც შეიძლება აბონენტის ნომერს და სახელს უკავშირდებოდეს;

(ʒ[18]) **მობილური სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურება** – საჯაროდ ხელმისაწვდომი სატელეფონო მომსახურება ეროვნული ან ეროვნული და საერთაშორისო ზარების და მასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო მომსახურებების (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება) წარმოწყების ან მიღების მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სატელეფონო ნუმერაციის ეროვნულ გეგმაში მითითებული შესაბამისი ტელეფონის ნომრის ან ნომრების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია მობილურ საკომუნიკაციო ქსელში (საჯარო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი არაფიქსირებული ტერმინაციის წერტილებით);

---

[52] დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის #3 დადგენილებით.

(ჰ[23]) **ინტერნეტის ხელმისაწვდომობა** – საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას და ფაქტობრივად, ინტერნეტის ყველა საბოლოო წერტილთან კავშირს, ქსელის ტექნოლოგიისა და გამოყენებული ტერმინალური მოწყობილობის მიუხედავად.

ამ რეგლამენტში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონების შესაბამისად.

II. მომსახურების მიმწოდებლის მიერ კომისიის საინფორმაციო უზრუნველყოფის ვალდებულება

1. მომსახურების მიმწოდებლები კომისიას და მომხმარებელთა ინტერესების სახალხო დამცველს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგენენ თითოეული შეთავაზებული მომსახურების ან მომსახურებათა პაკეტის სტანდარტულ ხელშეკრულებებსა და ხელშეკრულებებში განხორციელებულ შესწორებებს.

2. კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესწორება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელმა, კომისიის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, უნდა შეასწოროს მომსახურების ხელშეკრულების პირობები.

III. ინფორმაციის გამჭვირვალობა და გამოქვეყნება

1. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს გამჭვირვალე, პროპორციული, შესაბამისი და უახლესი ინფორმაცია (მათ მიერ მიწოდებული მომსახურებების შესახებ), კერძოდ:

ა) მომსახურების მიმწოდებლის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია;

ბ) საჯაროდ ხელმისაწვდომი მომსახურებები;

ბ.ა) მომსახურებების აღწერა;

ბ.ბ) შეთავზებული მომსახურებების ტარიფები და თითოეული სატარიფო ელემენტის შინაარსი, მათ შორის, ინფორმაცია კონკრეტული სატარიფო გეგმებით გათვალისწინებული კომუნიკაციის მოცულობის (როგორიცაა, შეზღუდვები მონაცემთა გამოყენებაზე, ხმოვანი წუთების რაოდენობა, შეტყობინებების რაოდენობა) და დამატებითი საკომუნიკაციო საშუალებების შესაბამისი ტარიფების, ნომრების ან მომსახურებების შესახებ, რომლებზეც ფასების განსაზღვრის კონკრეტული პირობები ვრცელდება, საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელზე ხელმისაწვდომის და ტენიკური უზრუნველყოფის ხარჯების, ყველა ტიპის გამოყენების

ხარჯების, სპეციალური და მიზნობრივი სატარიფო სქემების და ნებისმიერი დამატებითი გადასახადის შესახებ, ასევე ტერმინალური მოწყობილობის ხარჯები (იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტერმინალური მოწყობილობის მიწოდებას, მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად);

ბ.გ) კომპენსაციის გადახდის/თანხის დაბრუნების წესის ჩამოყალიბებისა და გადახდის პირობები მიუღებელი ან ცუდი ხარისხით მიწოდებული მომსახურებისთვის, კომპენსაციის/თანხის დაბრუნების სქემების კონკრეტული დეტალების გათვალისწინებით;

ბ.დ) ტექნიკური მომსახურებების შეთავაზებული ტიპები (დაზიანებათა აღმოფხვრის ჩათვლით);

ბ.ე) მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პირობები და ხარჯები ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით, ასევე, ნომრების პორტირებასთან დაკავშირებული პროცედურები;

ბ.ვ) შეთავაზებული მომსახურებების მინიმალური გარანტირებული ხარისხი;

ბ.ზ) სატრანზიტო მაუწყებლობის მომსახურებების მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული არხების სია.

გ) მომსახურების მიმწოდებელსა და ბოლო მოსარგებლეს შორის დავების მოგვარების გზები, მათ შორის, დავების გადაწყვეტის პირობები და პროცედურები;

დ) ინფორმაცია აბონენთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, მათ შორის:

დ.ა) დეტალიზირებული ანგარიშის და ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი დეტალების მიღების უფლება;

დ.ბ) ცალკეული ტიპის ზარების ან ცალკეული ტიპის სატელეფონო ნომრებზე ზარის განხორციელების დაბლოკვის უფლება, თუ ასეთი მომსახურება უზრუნველყოფილია მომსახურების მიმწოდებლის მიერ უფასოდ;

დ.გ) მომსახურებისთვის წინასწარ გადახდის უფლება;

დ.დ) საერთო სარგებლობის სატელეფონო საკომუნიკაციო ქსელზე ხელმისაწვდომობის/ დაკავშირებისათვის გათვალისწინებული საფასურის ეტაპობრივად გადახდის უფლება, თუკი ასეთი მომსახურება უზრუნველყოფილია მომსახურების მიმწოდებლის მიერ;

დ.ე) ალტერნატიული დაბალი ღირებულების მომსახურებათა ტარიფების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ვ) მომსახურებების უჩვეულო ან გადაჭარბებული გამოყენების შესახებ ინფორმაციის უფასოდ მიღების უფლება;

ე) მომსახურების ტიპიური ხელშეკრულებები თითოეული შეთავაზებული მომსახურებისთვის ან მომსახურებათა პაკეტისთვის;

ვ) ინფორმაცია აბონენტებისთვის საგანგებო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ცვლილებებთან დაკავშირებით.

ზ) ინფორმაცია აბონენტებისთვის მომსახურების მმწოდებლის მიერ გამოყენებული პროცედურების შესახებ საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში ტრაფიკის გასაზომად და მართვისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქსელის გადატვირთვა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს აღნიშნულმა პროცედურებმა ან ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა მომსახურების ხარისხზე;

თ) ინფორმაცია აბონენტთა უფლების შესახებ, მიუთითონ თუ არა თავიანთი პირადი მონაცემები საჯარო ბეჭდურ ან/და ელექტრონულ ცნობარში და ასევე, ინფორმაცია ცნობარში გათვალისწინებული მონაცემების ტიპების შესახებ;

ი) ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც მომსახურების მიმწოდებელი აბონენტის მიერ მოხმარების წესების დარღვევის შემთხვევაში მიმართავს;

კ) ინფორმაცია საშეღავათო სისტემის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ლ) ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბოლო მოსარგებლეებისთვის მომსახურებათა გამოყენების თანაბარ შესაძლებლობებს;

მ) ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა დამატებით უნდა გამოაქვეყნონ ამ რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაცია.

2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ნათლად, სრულყოფილად და ადვილად გასაგები ფორმით უნდა გამოქვეყნდეს მომხმარებელთა მომსახურების ცენტრებში, ასევე მომსახურებლის მიმწოდებლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იყოს ყველა ბოლო მოსარგებლისთვის.

3. ბოლო მოსარგებლეებისთვის შესაბამისი ინფორმაციის სათანადოდ მიწოდების მიზნით, მომსახურების მიმწოდებელმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს საინფორმაციო კატალოგები საჩივრისა და საპრეტენზიო განაცხადების შეტყობინების შესახებ, სადაც მითითებული იქნება უფასო ნომერი და იმუშავებს მუდმივმოქმედი 24 საათიანი ცხელი ხაზი (მომხმარებელთა მომსახურების ცენტრი). კომისიას, საჭიროების შემთხვევასი, შეუძლია დაადგინოს მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა მომსახურების ცენტრის მიერ ინფორმაციის მიწოდების საშუალო ხანგრძლივობა.

4. ბოლო მოსარგებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, უტყუარი, ამომწურავი და გასაგები, რომელიც არ იქნება დამაბნეველი ან ორაზროვანი.

4.5. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბოლო მოსარგებლის მოთხოვნის ან/და თანხმობის შემთხვევაში, რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბოლო მოსარგებლისთვის განკუთვნილი პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებებით.

IV. მომსახურების ხელშეკრულება

1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს და ხელშეკრულება მომსახურების მიწოდების შესახებ უნდა გაფორმდეს ამ რეგლამენტის შესაბამისად.

2. ბოლო მოსარგებლისთვის მომსახურების მიწოდება მოხდება წერილობითი (ელექტრონული) ხელშეკრულების ან/და დისტანციური გარიგების, ან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ამ რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. მომსახურების მიმწოდებელმა მომსახურების ხელშეკრულებაში ნათლად უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მომსახურების მიმწოდებლის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია;

ბ) აბონენტის ვინაობა და მისამართი;

გ) მიწოდებული მომსახურება, მიწოდების ვადები და პირობები, მათ შორის:

გ.ა) ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების მომსახურებაზე აბონენტის ხელმისაწვდომობისშესახებ;

გ.ბ) შეთავაზებული მომსახურებების მინიმალური ხარისხი, ასევე თავდაპირველი დაკავშირების დრო და, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მიერ დადგენილი მომსახურების ხარისხის სხვა პარამეტრები;;

გ.გ) ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული პროცედურების შესახებ, ქსელის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში ტრაფიკის გაზომვისა და მართვისათვის, ასევე ინფორმაცია მომსახურების ხარისხზე ამ პროცედურების შესაძლო გავლენის შესახებ;

გ.დ) ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომხმარებელთა მომსახურების და ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ, მომსახურების ვადებისა და პირობების, ასევე ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო ვადებისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიღების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით;

გ.ე) ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის მიერ ტერმინალური მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ;

გ.ვ) სატრანზიტო მაუწყებლობის მომსახურების პაკეტი (არხების სია);

გ.ზ) ინფორმაცია კომუნიკაციის მოცულობის შესახებ (როგორიცაა, შეზღუდვები მონაცემთა გამოყენებაზე (MB), ხმოვანი წუთების რაოდენობა, შეტყობინებების რაოდენობა), საანგარიშსწორებო პერიოდისთვის;

დ) ინფორმაცია აბონენტთა უფლების შესახებ, მიუთითონ თუ არა თავიანთი პირადი მონაცემები საჯარო ბეჭდურ ან/და ელექტრონულ ცნობარში და ასევე, ინფორმაცია აბონენტის შესახებ ცნობარში მოცემული მონაცემების შესახებ;

ე) მომსახურების ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არსებული მომსახურების ფასები, მათ შორის, პირველადი დაშვების, მომსახურებათა აქტივაციის, პერიოდული და ნებისმიერი სხვა დამატებითი ხარჯები, შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდის მეთოდები, ასევე ტარიფების ცვლილებების პირობები და პროცედურები;

ვ) მომსახურებისა ტარიფებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღების საშუალებები;

ზ) მომსახურების ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ხელშეკრულების შესწორების, დამატებისა და შეწყვეტის პროცედურები და პირობები, მათ შორის:

ზ.ა) მომსახურების მიმწოდებლის მიერ სპეციალური ან მიზნობრივი სატარიფო გეგმის მიხედვით შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობის მინიმალური ვადა;

ზ.ბ) მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის, ტერმინალურ მოწყობილობასთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურების ხარჯი (მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერმინალური მოწყობილობის მიწოდების შემთხვევაში);

ზ.გ) ნომრის პორტირებასთან დაკავშირებული პროცედურები;

თ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვის ან შეწყვეტის ვადები და პირობები;

ი) კომპენსაციის გადახდის/თანხის დაბრუნების წესის ჩამოყალიბება და გადახდის პირობები მიუღებელი ან ცუდი ხარისხით მიწოდებული მომსახურებისთვის, როდესაც აბონენტმა საკუთარი მიზეზით ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო მომსახურების გამო ვერ შეძლო მომსახურებით ესარგებლა;

კ) მომსახურების მიმწოდებელსა და ბოლო მოსარგებლეს შორის არსებული დავების მოგვარების გზები, მათ შორის, დავების გადაწყვეტის პირობები და პროცედურები;

ლ) უსაფრთხოების სისტემის დარღვევებზე ან საფრთხეებზე მომსახურების მიმწოდებლის მიერ განხორციელებული ქმედების სახეები;

მ) აბონენთა უფლებები და ვალდებულებები.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა მომსახურების ხელშეკრულებაში შემდეგი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ:

ა) ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის მიერ ტრაფიკის მართვის ზომების შესახებ, რამაც შესაძოა გავლენა იქონიოს ინტერნეტ მომსახურების ხარისხზე, ბოლო მოსარგებლის კონფიდენციალურობასა და მათი პერსონალური მონაცემების დაცვაზე;

ბ) მკაფიო და გასაგები განმარტება იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ინტერნეტის მოცულობის, სიჩქარის და მომსახურების სხვა ხარისხობრივი პარამეტრების შეზღუდვამ ინტერნეტ მომსახურებაზე, განსაკუთრებით, შინაარსის, პროგრამების და მომსახურებების გამოყენებაზე;

გ) მკაფიო და გასაგები განმარტება ინტერნეტ მომსახურების პარამეტრების შესახებ, კომისიის 2018 წლის 23 მაისის #4 დადგენილებით დამტკიცებული ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების შესაბამისად, და რეკლამირებული პარამეტრების მნიშვნელოვანი განსხვავების შემთხვევაში რა გავლენას ახდენს ბოლო მოსარგებლეების უფლებების

განხორციელებაზე საკუთარი ინტერნეტ მომსახურების გზით ინფორმაციის და შინაარსის (კონტენტის) ხელმისაწვდომობისა და გავრცელების, აპლიკაციების და მომსახურებების გამოყენებისა და მიწოდების და თავისი არჩევით ტერმინალური მოწყობილობის გამოყენების შესახებ, ბოლო მოსარგებლეების და მიმწოდებლების ადგილმდებარეობის, ასევე ინფორმაციის, შინაარსის (კონტენტის), აპლიკაციის ან მომსახურების წარმოშობის ან დანიშნულების ადგილის მიუხედავად;

დ) მკაფიო და გასაგები განმარტება მომხმარებელთა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ შეუსაბამობის, სიჩქარის ან მომსახურების სხვა ხარისხობრივი პარამეტრების დარღვევის, ან ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პიროებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

5. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებამდე მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ბოლო მოსარგებლეს ხელშეკრულების პირობების და სხვა ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბოლო მოსარგებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

6. მომსახურების ხელშეკრულება დაბეჭდილი უნდა იყოს მინიმუმ 10 ზომის შრიფტით.

V. მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შესწორება და შეწყვეტა

1. მომსახურების მიმწოდებელმა მომხმარებელს ფიქსირებული ვადით დადებული მომსახურების ხელშეკრულება თავდაპირველად, არაუმეტეს 24 თვის ვადით უნდა გააფორმოს. მომსახურების მიმწოდებელი ასევე ვალდებულია ბოლო მოსარგებლეებს მომსახურების ხელშეკრულების 12 თვის ვადით გაფორმების შესაძლებლობა მისცეს.

2. მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა აბონენტის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითად დაარღვევის შემთხვევაში, როგორც ეს დადგენილია მომსახურების ხელშეკრულებაში. ამ შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელმა აბონენტს წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

3. აბონენტს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულება მაშინაც კი, თუ მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უკვე ხორციელდება. ამ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია მომსახურების მიმწოდებელს გადაუხადოს მიწოდებული მომსახურების ოდენობის პროპორციული ღირებულება, ასევე დაფაროს აბონენტის მიერ მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებამდე მომსახურების მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების სხვა ხარჯები.

4. აბონენტს უფლება აქვს, ცალმხრივად, დამატებითი ხარჯების გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიმწოდებელი არსებითად დაარღვევს მომსახურების ხელშეკრულებას ან შეცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მათ შორის, გაზრდის ხელშეკრულებაში მითითებულ მომსახურების ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეთავაზებული ცვლილებები აბონენტის სასარგებლოდ არის გაკეთებული, სუფთა ადმინისტრაციული ხასიათისაა და აბონენტზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. თუ აბონენტი მომსახურების ხელშეკრულებას წყვეტს ამ პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელს უფლება არ აქვს აბონენტს დააკისროს რაიმე სახის ჯარიმა მომსახურების ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

5. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აბონენტს შეატყობინოს, სულ ცოტა ერთი თვით ადრე, მომსახურების ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, მათ შორის, მომსახურების ფასების ზრდის, ასევე აცნობოს აბონენტის უფლების შესახებ, შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულება ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე, თუ აბონენტი არ დაეთანხმება ახალ პირობებს.

6. ნებისმიერი შეტყობინება ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული ცვლილებების შესახებ ინდივიდუალური შეტყობინების სახით უნდა გაკეთდეს.

7. განუსაზღვრელი ვადით დადებული მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აბონენტის ინიციატივით, მომსახურების მიმწოდებლისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით, მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტამდე ორი სამუშაო დღისა.

VI. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

1. მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქსელის ტერმინაციის წერტილში დაზიანების აღმოფხვრაზე.

2. მომსახურების მიმწოდებელმა, მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიის, მოწყობილობის, პირობების და გადახდის წესების შეცვლისას არ უნდა გააუარესოს

მომსახურების ხარისხი, შეამციროს მომსახურების მოცულობა ან გააუარესოს აბონენტთან მომსახურების ხელშეკრულების დადების მომენტისთვის შეთანხმებული პირობები, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

3. იმ შემთხვევაში, თუ დადგინა, რომ მომსახურების მიმწოდებელმა დაარღვია ამ რეგლამენტის დებულებები კონკრეტულ მომხმარებელთან და მომხმარებელთა/ბოლო მოსარგებლეთა ჯგუფთან მიმართებაში, მან ამგვარი დარღვევის გამოსასწორებლად უნდა მიიღოს ზომები კონკრეტული მომხმარებლის, მომხმარებელთა/ბოლო მოსარგებლეთა ან იმავე კატეგორიის მომხმარებელთა/ბოლო მოსარგებლეთა მიმართ.

4. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბოლო მოსარგებლეთა ხელმისაწვდომობა მომსახურებებზე, რომლებსაც ბოლო მოსარგებლეთა უმრავლესობა იყენებს, ასევე უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბოლო მოსარგებლეების მიერ ბოლო მოსარგებლეთა უმრავლესობის მიერ შერჩეული მომსახურებებითა და შეღავათებით სარგებლობა. კომისიამ შეუძლია მოთხოვნები დააკისროს მომსახურების მიმწოდებლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბოლო მოსარგებლეების მიერ მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

VII. საერთო სარგებლობის მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

1. მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბოლო მოსარგებლეების მიერ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება მომსახურების მიმწოდებლის საერთო სარგებლობის მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელის დაფარვის ზონის შესახებ.

2. მომსახურების მიმწოდებელმა მომსახურების ხელშეკრულებაში უნდა მიუთითოს მომსახურების მიწოდების შეჩერების და ვადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დაკარგავს ტერმინალურ მოწყობილობას. მომსახურების მიმწოდებელს არ შეუძლია რაიმე ჯარიმის დაკისრება მომსახურების შეჩერების გამო.

VIII. ინტერნეტ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

1. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტ მომსახურების ღირებულება მოხმარებული მომსახურების მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით განისაზღვრება, ინტერნეტის მიმწოდებლებმა მომხმარებლებს უსასყიდლოდ უნდა შესთავაზონ ისეთი მოწყობილობა (ფუნქცია), რომლის მეშვეობით ისინი ინტერნეტ მომსახურების გამოყენების მონიტორინგსა და კონტროლს შეძლებენ. ინტერნეტის მიმწოდებლებმა მომხმარებლებს ლიმიტის 80%-ის ამოწურვამდე უნდა შეატყობინონ სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ლიმიტის სრულად მოხმარების შესახებ.

IX. მომსახურების შეზღუდვის წესები და პირობები

1. მომსახურების მიმწოდებელს უფლება არ აქვს შეზღუდოს მომსახურების მიწოდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აბონენტი არღვევს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. მომსახურების მიწოდების შეზღუდვის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონს აბონენტს მომსახურების შეზღუდვის მიზეზების შესახებ.

3. მომსახურების მიწოდების შეზღუდვის შემთხვევაში, საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციომომსახურების აბონენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს ზარი ყველა უფასო სატელეფონო ნომერზე (გადაუდებელი დახმარების ნომრები, სხვა ნომრები) და მიიღონ უფასო სატელეფონო ზარები.

4. თუ აბონენტი სადავოს ხდის მომსახურების ანგარიშს, მომსახურების მიმწოდებელს უფლება არ აქვს შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება, თუ ეს აბონენტს შემომავალი სატელეფონო კავშირის და სხვა უფასო მომსახურების მიღებაში ხელს შეუშლის, და იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შესაძლებელი იქნება იმ მომსახურებების მიღება, რაც აბონენტის მიერ გადახდილია ან სადავო არ არის.

5. მომსახურების მიწოდება უნდა აღდგეს აბონენტის მიერ თანხის სრულად გადახის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა. თანხის სრულად გადახდის შესახებ ინფორმაციის მიღების დღედ ჩაითვლება ის დღე, როდესაც აბონენტი მომსახურების მიმწოდებელს წარუდგენს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან თანხას ჩარიცხავს (დააკრედიტებს) მომსახურების მიმწოდებლის ანგარიშზე.

6. მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს, არ გაითვალისწინოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები, ხოლო საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიმწოდებელს უფლება აქვს, არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის ქმედება საფრთხეს უქმნის მომსახურების მიმწოდებლის საჯარო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ფუნქციონირებას, მთლიანობას ან უსაფრთხოებას, ან სხვა მომხმარებლებს უზღუდავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებების გამოყენების შესაძლებლობებს.

X. მომსახურების შეწყვეტა

1. მომსახურების მიწოდება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მომსახურების მიწოდების შეზღუდვის და აბონენტისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, თუ

აბონენტი ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ხელშეკრულების დარღვევის აღმოფხვრას მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაზე ნაკლები. ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მომსახურების მიწოდება შეწყდება ფიქსირებული ვადით დადებული მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შედეგად.

2. საჯარო სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს არ გაითვალისწინოს 1-ლი პუნქტის დებულებები, თუ აბონენტის ქმედებები საფრთხეს უქმნის მომსახურების მიმწოდებლის საჯარო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ფუნქციონირებას, მთლიანობას ან უსაფრთხოებას, ან სხვა მომხმარებლებს უზღუდავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებების გამოყენების შესაძლებლობებს.

XI. ანგარიშები და დეტალიზებული ანგარიშები

1. ანგარიშები გაწეული მომსახურების შესახებ აბონენტებს ეგზავნებათ უფასოდ. მომსახურების ანგარიშში მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

ა) გადახდის მეთოდი (მაგ.: მითითებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი, სხვ);

ბ) აბონენტის მიერ შერჩეული სატარიდო გეგმა(გეგმები);

გ) სატარიფო გეგმებით განსაზღვრული და აბონენტის მიერ შერჩეული თითოეული მომსახურების ტიპი და ფასი/ტარიფი;

დ) გადახდის გეგმებით განსაზღვრული და აბონენტის მიერ შერჩეული თითოეული მომსახურების საერთო ღირებულება და ფასი საანგარიშო პერიოდში, სადაც მითითებული იქნება მომსახურების ხანგრძლივობა, ან მიწოდებული მონაცემების მოცულობა, ზარების რაოდენობა ან ინტერნეტ კავშირი დადგენილი ფასის/ტარიფის შესაბამისად, სააბონენტო გადასახადი და ყველა სხვა ხარჯი, ზედმეტად გადახდილი თანხა ან დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მთლიანად გადასახდელი თანხა.

2. აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელმა აბონენტს უფასოდ უნდა წარუდგინოს საანგარიშო პერიოდის, ასევე უფასოდ ან ღირებულებაზე დაფუძნებული საფასურის ოდენობით არა-საანგარიშო პერიოდის დეტალიზებული ანგარიში ყველა მიწოდებული მომსახურების შესახებ, სადაც ცალკე უნდა იყოს მითითებული:

ა) თითოეული მომსახურებისთვის გათვალისწინებული ტელეფონის ნომერი შემომავალი ან/და გამავალი კავშირისთვის (იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი იყენებს საერთო სარგებლობის სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს), ან ინტერნეტ მომსახურების სერვერთან დაკავშირების სახეები (თუ აბონენტი იყენებს ინტერნეტ მომსახურებას);

ბ) თითოეული მომსახურების მიწოდების თარიღი და დრო;

გ) აბონენტის მიერ შერჩეული სატარიფო გეგმის მიხედვით, თითოეული მომსახურების ხანგრძლივობა ან გადაცემული მონაცემების ოდენობა და შესაბამისი ტარიფი;

დ) ყველა მომსახურების საერთო ღირებულება საანგარიშო პერიოდში.

3. მომსახურების მიმწოდებელმა ასევე შეიძლება წარმოადგინოს სხვა ინფორმაცია, რაც გავლენას იქონიებს მომსახურების საფასურზე. დეტალიზებული ანგარიში არ უნდა შეიცავდეს უფასო მომსახურების გადასახადს, მათ შორის, გადასახადს საგანგებო ნომრებზე ზარის განხორციელებისთვის.

4. აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია უფასოდ ან ხარჯებზე დაფუძნებული ტარიფით მიაწოდოს აბონენტს მომსახურების ანგარიშთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები.

5. მომსახურების მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის წინასწარ გადახდის შესაძლებლობა.

6. თუ აბონენტი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით სადავოს ხდის მომსახურების ანგარიშს, მომსახურების მიმწოდებელს უფლება არ აქვს შეუზღუდოს მას მომსახურების მიწოდება დავის გადაწყვეტამდე.

XII. სხვა დებულებები

თუ მომსახურების ხელშეკრულებები აბონენტისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ადგენს, ვიდრე ამ რეგლამენტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, გამოიყენება მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები.

_____